



524
1945

524

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

გ მ ა გ ბ ი

ტომ VI, № 8

18

СООБЩЕНИЯ

АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТОМ VI, № 8

BULLETIN

OF THE ACADEMY OF SCIENCES OF THE GEORGIAN SSR

Vol. VI, № 8

თბილისი 1945 თბილისი
Tbilissi

შესახსე—СОДЕРЖАНИЕ—CONTENTS

მათემატიკა—МАТЕМАТИКА—MATHEMATICS

დ. ჯგუფაძე. რიმან—პილბერტის ამოცანა მრავლადმული არისათვის	581
*Д. А. Квеселава. Задача Римана—Гильберта для многосвязной области	590

ფიზიკა—PHYSICS

დ. ჩიღვინაძე. ანტიფრიქციული ჟენაფების დილატომეტრული შესწავლა	591
*Д. М. Чигвинадзе. Дилатометрическое изучение антифрикционных сплавов	595

არაორგანული ქიმია—НЕОРГАНИЧЕСКАЯ ХИМИЯ—INORGANIC CHEMISTRY

ა. კალანდია და დ. გორგიშვილი. სპილენდ-ვოლფრამის ახალი ბრინჯაოს მიღება	597
*А. А. Каландия и Д. А. Горгишвили. Получение новой медно-вольфрамовой бронзы	600

პეტროგრაფია—ПЕТРОГРАФИЯ—PETROGRAPHY

გ. ძოჭებიძე. დასავლეთ საქართველოს ბარიტის საბადოთა გენეზისის საკითხისათვის	601
*Г. Дзоченидзе. К вопросу о генезисе баритовых месторождений Грузии	605

ბოტანიკა—БОТАНИКА—BOTANY

ვ. გულისაშვილი (საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორესპ.). სალსალაჯისა (<i>Pistacia Mutica</i> Fisch. et Mey) და მისი თანამგზავრი ბუჩქების დამკიდებულება ნიადაგის მარილების კონცენტრაციასთან	611
*В. З. Гулисашвили (Чл.-корр. АН Груз. ССР). О солестойкости фисташки (<i>Pistacia Mutica</i> Fisch. et Mey) и сопутствующих ее кустарников	615
ნ. ჭანტრია. სოფა <i>Colletotrichum gloeosporioides</i> Penz. ნარინჯოვანებზე საქართველოში	619
*Н. Чантuria. <i>Colletotrichum gloeosporioides</i> Penz. на цитрусовых в Грузии	624

ზოოლოგია—ЗООЛОГИЯ—ZOOLOGY

ა. ჯანაშვილი. ჯინგების ზრდის ტემპი და ეფექტი	629
*А. Г. Джанашвили. Темп и эффект роста турокоз	632
თ. როდონაძე. <i>Lingualula Serrata</i> -ს (Fröhlich 1789)-ს შემთხვევები საქართველოში	635
*Т. Э. Родоная. Случай находления в Грузии <i>Lingualula Serrata</i> (Fröhlich)	638

*გარსკვლავით აღნიშნული სათაური ეკუთხის წინა წერილის რეზუმეს ან თარგმანს.

*Заглавие, отмеченное звездочкой, относится к реюме или к переводу предыдущей статьи.

*A title marked with an asterisk applies to a summary or translation of the preceding article.

მათემატიკა

დ. კვესელავა

რიმან—ჰილბერტის ამოცანა მრავლადგმული არისათვის

§ 1. ვთქვათ S^+ აღნიშნავს ბრტყელ არეს, შემოსაზღვრულს მარტივი ურთიერთ არაგადამკვეთრი გლუვი კონტურებით L_0, L_1, \dots, L_p , რომელთაგან პირველი მოიცავს ცველა დანარჩენს. L -ით ჩვენ აღვნიშნავთ ამ კონტურების ერთობლიობას; დადგებით მიმართულებად L -ზე ჩვენ ხავთვლით იმას, რომელიც S^+ არეს მარტინივ სტოვებს. L_0 კონტური შეიძლება არ იყოს და მაშინ S^+ არე იქნება უსასრულო. S^- -ით ჩვენ აღვნიშნავთ ერთობლიობას სასრული არეების $S_1^-, S_2^-, \dots, S_p^-$, რომლებიც შემოსაზღვრული არიან, შესაბამისად, L_1, L_2, \dots, L_p კონტურებით და (როდესაც L_0 არსებობს) უსასრულო არიან S_0^- , რომელიც შესდგება L_0 -ის გარეთ მოთავსებული წერტილებისაგან.

L_0, L_1, \dots, L_p კონტურებისაგან ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე, რომ კუთხე, შედგენილი L_j -კონტურის მხების მიერ რაიმე უცვლელ მიმართულებასთან აქმაყოფილებდეს Hölder-ის პირობას (ეკუთვნოდეს H კლასს).

რიმან—ჰილბერტის ამოცანა მდგომარეობს შემდეგში:

მოიძებნოს ფუნქცია $f(z)=u(z)+iv(z)$, პოლომორფული S^+ -ზი და უწყვეტი $S^+ + L^-$ ზი, რომელიც აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$a(t)u(t) - b(t)v(t) = c(t) \quad L\text{-ზე}, \quad (1)$$

სადაც $a(t), b(t), c(t)$ არიან L -ზე მოცემული ნამდვილი ფუნქციები, რომლებიც H კლასს ეკუთვნიან და $a^2(t) + b^2(t) \equiv 1$. უსასრულო არის შემთხვევაში პირობა $a(t)u(t) - b(t)v(t) = c(t)$ კონტურზე L_0 უნდა შეიცვალოს $f(t)$ ფუნქციის უსასრულეთში შემოსაზღვრობის მოთხოვნით.

მარტივიადგმული არისათვის ეს ამოცანა ძალიან კარგადაა შესწავლილი. ამ შემთხვევისათვის ამოცანის ამოხსნის სრული გადმოცემა მოცემულია აკად. ნ. მუსხელიშვილის წიგნში [1]; იქვე მკითხველი იპოვის უფრო ზოგადი ანალოგიური ამოცანების ამოხსნას მარტივადგმული არისათვის და სათანადო ბიბლიოგრაფიულ მითითებებს.

მრავლადგმული არისათვის რიმან—ჰილბერტის ამოცანა (1), რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ არავის არ განუხილავს⁽¹⁾.

⁽¹⁾ წიგნამდებარე ნაშრომის შესრულების დროს ჩვენ ვისარგებლეთ აკად. ნ. მუსხელიშვილის რამდენიმე არსებითი ხასიათის მითითებით.

§ 2. განვიხილოთ შემდეგი ამოცანა:

მონაცემის ფუნქცია $f(z)=u(z)+iv(z)$, პოლიმორფული $S^+ - \text{ზო}$ და უწყვეტი $S^+ + L - \text{ზო}$, რომელიც აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$a(t)u(t) - b(t)v(t) = c(t) + \gamma(t) \quad L-\text{ზე}; \quad (2)$$

$c(t)$ კონტურზე მოცემული H კლასის ფუნქციაა, ხოლო $a(t) = a_j$, $b(t) = b_j$, $\gamma(t) = \gamma_j$, როცა $t \in L_j$, $j=0, 1, \dots, p$,

სადაც a_j, b_j მოცემული ნამდვილი მუდმივებია, $a_j^2 + b_j^2 = 1$; γ_j აგრეთვე ნამდვილი მუდმივებია, რომლებიც წინასწარ არ არიან განსაზღვრული.

შემდეგში, თუ წინააღმდეგი არ იქნება აღნიშნული, ვიგულისხმებთ, რომ $\gamma_0 = 0$. გარდა ამისა, უსასრულო არის შემთხვევაში, $a_0u(t) - b_0v(t) = c(t)$, $t \in L_0$ პირობის მაგიერ ჩვენ მოვითხოვთ $f(z)$ ფუნქციის შემოსაზღვრულობას უსასრულეთში. ზოგადობის შეუხლუდველად შევვიძლია მივიღოთ, სასრული არის შემთხვევაში, $a_0 = 1$, $b_0 = 0$, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ შემოვიყანდით ახალ საძიებელ ფუნქციას $\varphi(z) = (a_0 + ib_0)f(z)$, რომლისთვისაც ეს მოთხოვნა შესრულებული იქნება; უსასრულო არის შემთხვევაში კი ჩვენ მივიღებთ, $\Re f(\omega) = 0$. გარდა ამისა ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ b_j ($j=1, 2, \dots, p$) მუდმივებში ერთი მაიც განსხვავებულია ნულისაგან; წინააღმდეგ შემთხვევაში კარგად ცნობილ დირიხლეს სახეცვლილ ამოცანას მივიღებთ.

ლემა. თუ ფუნქცია $f(z) = u(z) + iv(z)$, პოლიმორფული $S^+ - \text{ზო}$ და უწყვეტი $S^+ + L - \text{ზო}$, აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$a_ju(t) - b_jv(t) = \gamma_j \quad L-\text{ზე}, \quad j=0, 1, \dots, p, \quad (3)$$

სადაც a_j, b_j მოცემული მუდმივებია ($a_0 = 1$, $b_0 = 0$, $a_j^2 + b_j^2 = 1$); $\gamma_j (\gamma_0 = 0)$ აგრეთვე ნამდვილი მუდმივებია, რომლებიც წინასწარ არ არიან მოცემული; მაშინ აუცილებლად

$$\frac{\gamma_1}{b_1} = \frac{\gamma_2}{b_2} = \dots = \frac{\gamma_p}{b_p} = -B, \quad f(z) = iB,$$

სადაც B ნებისმიერი ნამდვილი მუდმივია.

ლემის სამარტლიანობა გამომდინარებს ცნობილი ფორმულიდან:

$$\iint_{S^+} \left[\left(\frac{\partial u}{\partial x} \right)^2 + \left(\frac{\partial u}{\partial y} \right)^2 \right] dx dy = \int_L u \frac{\partial u}{\partial n} ds = \int_L u \frac{dv}{ds} ds = \sum_{j=1}^p \int_{L_j} u dv, \quad (4)$$

რადგანაც ამ ფორმულის უკანასკნელი წევრი ნულია (3) პირობების გამო; თვით (4) ფორმულის სამარტლიანობის დასაბუთება ჩვენ მიერ მიღებულ პირობებში არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ამ ლემიდან გამომდინარეობს, რომ $\mathfrak{f}(\zeta)$ არის (2) სასაზღრო ამოცანის რაიმე ამოხსნა, მაშინ ყოველი სხვა ამოხსნა $\tilde{\mathfrak{f}}(\zeta)$ ამოხსნა $f(\zeta) + iB$ სახით, სადაც B ნებისმიერი (ნამდვილი) მუდმივია.

ადვილი საჩენებელია¹, რომ (2) ამოცანის ყოველი ამოხსნა ასე $\tilde{\mathfrak{f}}(\zeta)$ -იდგინება:

$$f(\zeta) = \frac{i}{\pi i} \int_L^{\zeta} \frac{\mu(t) dt}{t - \zeta} + iB, \quad (5)$$

სადაც $\mu(t)$ საძიებელი H კლასის ნამდვილი ფუნქციაა, ხოლო B —ნებისმიერი ნამდვილი მუდმივი. თუ $f(\zeta)$ -ის ამ მნიშვნელობას (2) სასაზღრო პირობაში შევიტანთ ის ასე გადაიწერება.

$$\mathfrak{a}(t_0)\mu(t_0) - \frac{b(t_0)}{\pi} \int_L^{\zeta} \frac{\mu(t) dr}{r} + \frac{a(t_0)}{\pi} \int_L^{\zeta} \frac{\cos(r, n)}{r} \mu(t) ds = c(t_0) + \gamma(t_0) + Bb(t_0), \quad (6)$$

სადაც $r = |t - t_0|$, ხოლო (r, n) არის კუთხე, შედგენილი $t_0 t$ მიმართულების მიერ t წერტილში L -ის მარტინი მიმართულ ნორმალთან.

(6) არის სინგულარული ინტეგრალური განტოლება ნულის ტოლი ინდექსით.

განვიხილოთ (6)-ის შესაბამისი ერთგვაროვანი განტოლება

$$\mathfrak{a}(t_0)\mu(t_0) - \frac{b(t_0)}{\pi} \int_L^{\zeta} \frac{\mu(t) dr}{r} + \frac{a(t_0)}{\pi} \int_L^{\zeta} \frac{\cos(r, n)}{r} \mu(t) ds = 0. \quad (6_0)$$

ამ განტოლებას, როგორც ადვილი სანახავია, აქვს შემდეგი ამოხსნები

$$\mu(t) = c_j, \quad L_j-\text{ზე}, \quad j=0, 1, \dots, p, \quad c_0 = 0,$$

სადაც c_j ნებისმიერი ნამდვილი მუდმივებია. სხვა ამოხსნა (6₀) განტოლებას არა აქვს.

ნაცვლად (6) განტოლებისა განვიხილოთ განტოლება

$$\mathfrak{a}(t_0)\mu(t_0) - \frac{b(t_0)}{\pi} \int_L^{\zeta} \frac{\mu(t) dr}{r} + \frac{a(t_0)}{\pi} \int_L^{\zeta} \frac{\cos(r, n)}{r} \mu(t) ds - \int_L^{\zeta} k(t_0, t) \mu(t) ds = c(t_0), \quad (7)$$

სადაც $k(t_0, t)$ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

$$k(t_0, t) = \begin{cases} \rho_j(t), & \text{როცა } t_0, t \in L_j, \quad j=1, 2, \dots, p; \\ 0 & \text{ყველა დანარჩენ შემთხვევაში.} \end{cases}$$

$\rho_j(t)$ აღნიშნავს ნებისმიერად არჩეულ უწყვეტ (ნამდვილ) ფუნქციებს, რომელთაგან მოთხოვნილია ერთადერთი პირობა

¹ იხ., ანალოგიური მსჯელობა [1]-ში.



$$\int_{L_j} \rho_j(t) ds \neq 0, \quad j=1, 2, \dots, p.$$

გამოსახულება

$$\int_L k(t_0, t) \mu(t) ds$$

ინარჩუნებს / მუდმივ მნიშვნელობას ყოველ L ; კონტურზე:

$$\int_L^k(t_0, t) \mu(t) ds = C_j, \text{ whenever } t_0 \in L_j, \quad j=0, 1, \dots, p, \quad (8)$$

სადაც C_j მუდმივია⁽¹⁾, $C_0 = 0$ ⁽²⁾.

(7) განტოლების შესაბამის ერთგვაროვან განტოლებას არა ძეგლისა-
გან განსხვავებული ამოხსნა.

აქედან გამომდინარეობს, რომ არაერთგაროვან (7) განტოლებას აქვთ ერთადერთი ამოხსნა. (7) განტოლების მ(მ) ამოხსნა იძლევა აგრეთვე (6) განტოლების *H* კლასის ამოხსნას და იმავე დროს, თანახმად ზემოთ დამტკიცებული ლემისა, გვექნება

$$\gamma_j + b_j B = C_j = \int_{L_j} \rho_j(t) \mu(t) ds, \quad j=1, 2, \dots, p.$$

ეს უკანასკნელი პირობები შეიძლება შემდეგი სახითაც დაიწეროს:

$$\gamma_j + b_j B = \int_{L_j} \omega_j(t) c(t) ds, \quad j=1, 2, \dots, p, \quad (9)$$

შადა(3) $w_j(t)$ სავსებით განსაზღვრული ფუნქციებია.

ამრიგად ჩვენ გვაძლეს ასეთი შედეგი:

(2) ამოცანის ყოველი ამოხსნა $f(z)$ მოცემულია ფორმულით (5), სადაც $\mu(t)$ არის (7) განტოლების (ერთადერთი) ამოხსნა, ხოლო მუდმივები $\gamma_1, \gamma_2, \dots, \gamma_n$, B აკმაყოფილებენ (9) პირობებს.

§ 3. განვიხილოთ ახლა სასაზღვრო ამოცანა:

მოძებნოს ფუნქცია $f(z) = u(z) + iv(z)$, ჰოლმორფული
 $S^+ - \text{ში}$ და უწყვეტი $S^+ + L - \text{ში}$, რომელიც აქმაყოფილებს
 სასახლეებთა პირობას

$$a(t)u(t) - b(t)v(t) = c(t) \quad L^{\infty}, \quad (10)$$

ს ა დ ა ც $a(t)$ კონტურზე მოცემული H კლასის ფუნქციაა,
ხოლო $a(t) \leq b(t)$ იგივეა, რაც (2) ამოცანაში.

$$(1) \text{ სასელდობრ } C_j = \int_{I_j} \varrho_j(t) \mu(t) ds.$$

⁽²⁾ ესასარულო არის \tilde{S}_j -მთხვევაში ეს ტოლობა $\tilde{\pi}_j$ -დნებისა და (8) -ში $j=1, 2, \dots, p$.

წინა წ-ში მიღებული შედეგების თანახმად, ამ ამოცანის ამოხსნის ჩატარებული ბობისათვის აუცილებელი და საკმარისია $\gamma_j=0, j=0, 1, \dots, p$, რაც (9) ტოლობების გამო ასე დაიწერება:

$$\int_L \chi_j(t) c(t) ds = 0, \quad j=1, 2, \dots, p-1, \quad (11)$$

სადაც, როგორც ადგილი სანახავია, $\chi_j(t)$ ცნობილი, წრფივად დამოუკიდებელი ფუნქციებია ($p > 1$); B საგვებით განსაზღვრული მუდმივია.

ამნაირად ჩვენ დავამტკიცეთ

თეორემა 1. (10) სასაზღვრო ამოცანის ამოხსნის არსებობისათვის აუცილებელი და საკმარისია $c(t)$ ფუნქცია აკმაყოფილებდეს $p-1$ პირობას (11). თუ ეს პირობები შესრულებულია, (10) ამოცანას აქვს ერთადერთი ამოხსნა.

$$f(\zeta) = \frac{1}{\pi i} \int_L \frac{\mu(t) dt}{t - \zeta} + iB,$$

სადაც $\mu(t)$ არის (7) განტოლების (ერთადერთი) ამოხსნა, ხოლო B გარკვეული ნამდვილი მუდმივია.

წ 4. დაფუძნებულიდეთ ახლა (1) სასაზღვრო ამოცანას. თუ შემოვიტანთ ალნიშვნას $\alpha(t) = a(t) + ib(t)$, მაშინ (1) სასაზღვრო პირობა ასე გადაიწერება:

$$\Re[\alpha(t)f(t)] = c(t). \quad (12)$$

ვთქვათ,

$$\kappa_j = \frac{1}{2\pi} \left[\arg \frac{a(t) - ib(t)}{a(t) + ib(t)} \right]_{L_j}, \quad \kappa = \sum_{j=0}^p \kappa_j,$$

სადაც $[\cdot]_{L_j}$ აღნიშნავს ფრჩხილებში მოთავსებულ გამოსახულების ნამატს, როდესაც t ცვლადი ერთხელ შემოუგლის L_j კონტურს დადებითი მიმართულებით. κ რიცხვს ვუწოდოთ (12) სასაზღვრო ამოცანის ინდექსი. ცხადია, κ_j და, მაშინადამე, κ -ც ლურთი რიცხვებია. წერის სიმარტივისათვის შემოვიტანოთ აგრეთვე შემდეგი აღნიშნები: $\lambda_j = \kappa_j/2$, $\lambda = \kappa/2$.

თუ $\kappa_j = 0 (j=0, 1, \dots, p)$, მაშინ ფუნქცია $\omega(t) = \arg \alpha(t)$ იქნება ცალსახა ყოველ L_j კონტურზე.

განვიხილოთ ფუნქცია

$$\pi^*(t) = t^{-\lambda} \pi(t), \quad \pi(t) = \prod_{j=1}^p (t - a_j)^{\kappa_j},$$

სადაც a_1, a_2, \dots, a_p შესაბამისად $S_1^-, S_2^-, \dots, S_p^-$ არეებში აღებული ნებისმიერი წერტილებია. გარდა ამისა, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ $\zeta = 0$ წერტილი მოთავსებულია S^+ არეში.

ვთქვათ,

$$\pi^*(t) = |\pi^*(t)| e^{i\theta(t)},$$

სადაც

$$\theta(t) = -\lambda \vartheta_0(t) + \sum_{j=1}^p \lambda_j \vartheta_j(t), \quad t = |t| e^{i\vartheta_0(t)}, \quad t - a_j = |t - a_j| e^{i\vartheta_j(t)}.$$

ფუნქცია

$$\omega_0(t) = \omega(t) - \theta(t),$$

ცხადია, ცალსახაა ყოველ კონტურზე $L_j (j=0, 1, \dots, p)$.

(12) სასაზღვრო პირობას ჩვენ ახლა ასე დავწერთ:

$$\Re[e^{i\omega_0(t)} e^{i\theta(t)} f(t)] = c(t). \quad (12')$$

ვთქვათ, $\varphi(z)$ არის ჰოლომორფული ფუნქცია S^+ არეში, ცალსახად განსაზღვრული სასაზღვრო პირობით

$$\Re[\varphi(t)] = \omega_0(t) - h(t) \quad L-\text{ზე},$$

სადაც $h(t) = h_j = \text{const } L_j$ -ზე. როგორც ცნობილია¹, ამ პირობით $\varphi(z)$ ფუნქცია ცალსახად მოიძებნება და იმავე დროს მუდმივები h_1, h_2, \dots, h_p სავსებით განისაზღვრებიან, ხოლო $h_0 = 0$.

ამრიგად (12') ასეთ სახეს მიიღებს:

$$\Re[e^{ih(t)} t^{-\lambda} f^*(t)] = c^*(t). \quad (13)$$

სადაც

$$f^*(t) = \pi(t) e^{i\varphi(t)} f(t), \quad c^*(t) = \pi^*(t) e^{-\Im[\varphi(t)]} c(t). \quad (14)$$

ცხადია $f^*(z)$ არის $f(z)$ ფუნქციასთან ერთად ჰოლომორფული S^+ არეში; $c^*(t)$ არის H კლასის ცნობილი ნამდვილი ფუნქცია.

უსასრულო არის შემთხვევაში, სავსებით ანალოგიური მსჯელობით, (11) სასაზღვრო პირობას ჩვენ მივიყვანთ შემდეგ სახემდე:

$$\Re[e^{ih(t)} t^\lambda f^*(t)] = c^*(t), \quad (13')$$

სადაც, ამ შემთხვევაში, მიღებულია აღნიშვნები:

$$f^*(t) = \pi(t) e^{i\varphi(t)} f(t), \quad c^*(t) = |\pi^*(t)| e^{-\Im[\varphi(t)]},$$

$$\pi^*(t) = t^\lambda \pi(t), \quad \pi(t) = \prod_{j=1}^p \left(1 - \frac{a_j}{t}\right)^{\lambda_j}, \quad (14')$$

$\varphi(z)$ გარკვეული ცნობილი ჰოლომორფული ფუნქციაა S^+ არეში.

§ 5. განვიხილოთ ახლა ცალ-ცალკე ორი შესაძლო შემთხვევა: 1) $\alpha \equiv 0$, 2) $\alpha > 0$.

1) $\alpha \equiv 0$. ვთქვათ, S^+ სასრული არეა. ასეთ შემთხვევაში (13) სასაზღვრო ამოცანა წარმოადგენს (10) სახის სასაზღვრო ამოცანას, რომელიც უკვე შესწავლილია ჩვენ მიერ § 3-ში. აღნიშნულ პარაგრაფში მიღებული შედეგების

¹ იხ. მაგ. [2].

თანახმად (თეორემა 1), შეგვიძლია ვთქვათ: თუ \mathcal{L} დაცულია (13) ამოცანის შემთხვევაში, სწორი არის არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები

$$\int_L \chi_j^*(t)c^*(t)ds = 0, \quad j=1, 2, \dots, p-1, \quad (15)$$

მაშინ არსებობს ისეთი (ერთადერთი) ფუნქცია $F(\zeta)$, ჰოლომორფული S^+ არეში, რომ $f^*(\zeta) = \zeta^\lambda F(\zeta)$ დააკმაყოფილებს (13) სასაზღვრო პირობას. ამრიგად, თანახმად (14) ტოლობისა, საძირებელ $f(\zeta)$ ფუნქციისათვის გვექნება

$$f(\zeta) = \frac{\zeta^\lambda e^{-i\varphi(x)} F(\zeta)}{\pi(\zeta)}. \quad (16)$$

იმისათვის, რომ $f(\zeta)$ იყოს ჰოლომორფული S^+ არეში, აუცილებელი და საკმარისია $F(\zeta)$ ფუნქცია აკმაყოფილებდეს პირობებს

$$F(0) = F'(0) = \dots = F^{(-\lambda-1)}(0) = 0.$$

ადვილი სანახავია, რომ ეს უკანასკნელი პირობები შეიძლება ასე იქნას დაწერილი:

$$\int_L \chi_j^{**}(t)c^*(t)ds = 0, \quad j=1, 2, \dots, |\zeta|, \quad (15')$$

სადაც $\chi^{**}(t)$ საგსებით გარკვეული, $|c^*(t)|$ ფუნქციისაგან დამოუკიდებელი, ნამდვილი ფუნქციებია.

ადვილად დამტკიცდება, რომ ფუნქციები

$$\chi_1^*(t), \chi_2^*(t), \dots, \chi_{p-1}^*(t), \chi_1^{**}(t), \chi_2^{**}(t), \dots, \chi_{|\zeta|}^{**}(t)$$

შრფივად დამოუკიდებელნი არიან.

ამრიგად ჩვენ გვაქვს

თეორემა 2. თუ $c \equiv 0$, რიმან—ჰილბერტის (1) სასაზღვრო ამოცანას აქვს (ერთადერთი) ამოხსნა, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა შესრულებულია $-x + p - 1$ პირობა

$$\int_L \chi_j(t)c(t)ds = 0, \quad j=1, 2, \dots, p-x-1, \quad (17)$$

სადაც $\chi_j(t)$ გრძელებული შრფივად დამოუკიდებელი ფუნქციებია.

რიმან—ჰილბერტის ერთგვაროვან ამოცანას ($c \equiv 0$) აქვს მხოლოდ იგივე რა ნულის ტოლი ამოხსნა.

ეს თეორემა ჩვენ დავამტკიცეთ სასრული არის შემთხვევაში. უსასრულო არის შემთხვევაში ის დამტკიცდება საგსებით ანალოგიურად. ამისათვის, ნაცვლად (13) სასაზღვრო პირობისა, უნდა განვიხილოთ (13') სასაზღვრო პირობა.

2) $x > 0$. ამ შემთხვევაშიც ისევ სასრული არე განვიხილოთ, რადგანაც უსასრულო არის შემთხვევა საგსებით ანალოგიურად შეისწავლება.

ვთქვათ

$$f^*(z) = \sum_{j=0}^{\lambda-1} (a_j + ib_j) z^j + z^\lambda f_1^*(z),$$

სადაც a_j, b_j რაიმე ნამდვილი მუდმივებია, ხოლო $f_1^*(z)$ ახალი საძიებელი ფუნქციაა, ჰოლომორფული S^+ არეში. (13) სასაზღვრო პირობა ასე დაიწერება:

$$\Re[e^{ih(t)} f_1^*(t)] = c^*(t) + \sum_{j=1}^n c_j \sigma_j(t), \quad (18)$$

სადაც $c_j (j=1, 2, \dots, n)$ ჯერჯერობით ნებისმიერი, ნამდვილი მუდმივებია, ხოლო $\sigma_j(t) (j=1, 2, \dots, n)$ — ცნობილი ნამდვილი ფუნქციები.

ადვილი დასამტკიცებელია, რომ ფუნქციები $\sigma_1(t), \sigma_2(t), \dots, \sigma_n(t)$ წრფივად დამოუკიდებელი არიან.

§ 3-ში მიღებული შედეგების თანახმად (თეორემა 1), ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ (18) სასაზღვრო ამოცანის ამოხსნის არსებობისათვის აუცილებელი და საკმარისია შესრულებულ იქნას შემდეგი პირობები⁽¹⁾:

$$\int_L \left[c^*(t) + \sum_{k=1}^n c_k \sigma_k(t) \right] \delta_j(t) ds = 0, \quad j=1, 2, \dots, p-1,$$

სადაც $\delta_j (j=1, 2, \dots, p-1)$ ცნობილი, ნამდვილი, წრფივად დამოუკიდებელი ფუნქციებია. (19) პირობები ასე გადავწეროთ

$$\sum_{k=1}^n A_{kj} c_k = B_j, \quad j=1, 2, \dots, p-1, \quad (20)$$

სადაც

$$A_{kj} = \int_L \sigma_k(t) \delta_j(t) ds, \quad B_j = - \int_L \delta_j(t) c^*(t) ds$$

$$j=1, 2, \dots, p-1, \quad k=1, 2, \dots, n.$$

ვთქვათ

$$A = \|A_{k,j}\|, \quad k=1, 2, \dots, n, \quad j=1, 2, \dots, p-1, \quad r = \text{rang } A,$$

მაშინ (20) სისტემის ამოხსნადობის პირობები შემდეგი სახით დაიწერება:

$$\int_L \chi_j(t) c(t) ds = 0, \quad j=1, 2, \dots, p-r-1, \quad (21)$$

სადაც $\chi_j(t)$ ცნობილი, წრფივად დამოუკიდებელი, ნამდვილი ფუნქციებია.

ამრიგად ჩვენ დავამტკიცეთ

თეორემა 3. თუ α და β სი $x > 0$, რომ $\alpha - \beta$ ბერტის (1) სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობისათვის აუცილებელი და საკმარისია $c(t)$ ფუნქცია α -კმაყოფილების $p-r-1$ პირობას (21), სადაც $r = \text{rang } A$.

⁽¹⁾ იხ. (11) პირობები.

რიმან—ჰილბერტის ერთგვაროვან ამოცანას აქვს
კრონგივად დამოუკიდებელი ამოხსნა.

შენიშვნა. ფრიად მოსალოდნელია, რომ r უდირიდეს უმცირესს ა და
 $p=1$ რიცხვებს შორის და მაშინ აღვილად მიიღება შემდეგი დებულება:

თუ $\int_0^{\pi} \chi_j(t) c(t) dt = 0$, $j=1, 2, \dots, p-1$,
რომ $\int_0^{\pi} \chi_j(t) c(t) dt = 0$, $j=p$,
ამოცანას აქვს (ერთადერთი) ამოხსნა, მაშინ და
მხოლოდ მაშინ, როცა შესრულებულია $\int_0^{\pi} \chi_j(t) c(t) dt = 0$.

$$\int_L \chi_j(t) c(t) dt = 0, \quad j=1, 2, \dots, p-1,$$

სადაც $\chi_j(t)$ გარევეული, წრფივად დამოუკიდებელი,
ნამდვილი ფუნქციებია.

ერთგვაროვან ამოცანას ($c \equiv 0$) აქვს მხოლოდ იგი-
ვურად ნულის ტოლი ამოხსნა.

თუ $\int_0^{\pi} \chi_j(t) c(t) dt = 0$, $j=p$,
რიმან—ჰილბერტის (1) სასაზღვრო
ამოცანას აქვს ამოხსნა ნებისმიერი მარჯვენა მხა-
რისათვის.

ერთგვაროვან ამოცანას ($c \equiv 0$) აქვს $\chi-p=1$ წრფი-
ვად დამოუკიდებელი ამოხსნა.

§ 6. როგორც ცნობილია¹, ყოველი ფუნქცია $f(z)$, პოლომორფული გან-
სახილავ S^+ არეში, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახით:

$$f(z) = \frac{1}{\pi i} \int_L \frac{\mu(t) dt}{t-z} + iB, \quad (23)$$

სადაც $\mu(t)$ არის H კლასის ნამდვილი ფუნქცია, ხოლო B — ნამდვილი მუდმივი;
თუ $f(z)$ მოცემულია, მაშინ $\mu(t)$ განისაზღვრება ნებისმიერი (ნამდვილი) მუდმი-
ვის სიზუსტით ყოველ შიგა კონტურზე L_j ($j=1, 2, \dots, p$) და ზუსტად გარე
კონტურზე L_0 ; მუდმივი B საესტად განსაზღვრულია.

თუ (23)-ს შევიტანო (1) სასაზღვრო პირობებში, ის ასეთ სახეს მიიღებს:

$$a(t_0)\mu(t_0) - \frac{b(t_0)}{\pi} \int_L \frac{\mu(t) dr}{\pi} + \frac{a(t_0)}{\pi} \int_L \frac{\cos(r, n)}{r} \mu(t) ds = c(t_0) + Bb(t_0), \quad (24)$$

სადაც აღნიშვნები იგივეა, რაც (6) განტოლებაში.

(24) წარმოადგენს სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას, რომლის მი-
მართ არსებული თეორიისა [1] და წინა წერი მიღებული შედეგების გაძမუ-
ნება აღვილად მიგვიყვანს შემდეგ დასკვნამდე:

(24) ინტეგრალურ განტოლებას აქვს ამოხსნა თუ $c(t)$
ფუნქცია აქმაყოლებს პირობებს

$$\int_L \chi_j(t) c(t) dt = 0, \quad j=1, 2, \dots, p-r-1,$$

¹ იხ. შენიშვნა 583 გვერდზე.

სადაც $r = \text{rang } A$ და $\chi(t)$ გარკვეული წრფივად დამოუკიდებელი ფუნქციებია. (1) ამოცანის ამოხსნა წარმოდგენილი იქნება (23) ფორმულით, სადაც $\mu(t)$ იქნება (24) განტოლების ზოგადი ამოხსნა, ხოლო B გარკვეული მუდმივი.

თუ დამტკიცებული იქნება ის დებულება, რომელიც ჩამოყალიბებულია წინა ს-ის ბოლოს გაკეთებულ შენიშვნაში, მაშინ (24) განტოლების გამოკვლევაც უფრო ზუსტ შედეგს მოგვცემს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. რაზმაძის სახელობის

თბილისის მათემატიკის ინსტიტუტი

(შემოვიდა რედაქციაში 4.8.1945)

МАТЕМАТИКА

Д. А. КВЕСЕЛАВА

ЗАДАЧА РИМАНА—ГИЛЬБЕРТА ДЛЯ МНОГОСВЯЗНОЙ ОБЛАСТИ

Резюме

В настоящей заметке рассматривается следующая граничная задача Римана–Гильберта:

Найти функцию $f(z) = u(z) + iv(z)$, голоморфную в области S и непрерывную в замкнутой области $S+L$, по граничному условию

$$a(t)u(t) - b(t)v(t) = c(t) \quad \text{на } L,$$

где $a(t)$, $b(t)$, $c(t)$ —заданные на L действительные функции удовлетворяющие условию Hölder-a, причем $a^2(t) + b^2(t) \neq 0$.

Под S подразумевается многосвязная область, ограниченная конечным числом простых замкнутых непересекающихся контуров L_0, L_1, \dots, L_p , из которых первый охватывает все остальные; $L = L_0 + L_1 + \dots + L_p$. L_0 может отсутствовать и тогда область S будет бесконечной.

В работе даются необходимые и достаточные условия разрешимости этой задачи. Затем, при помощи этих условий, исследуется сингулярное интегральное уравнение с ядром типа Коши, к которому сводится изучаемая граничная задача.

Академия Наук Грузинской ССР
Тбилисский математический институт
им. А. М. Рамадзе

ЗОТОКИИ ღული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Н. И. Мусхелишвили. Сингулярные интегральные уравнения, граничные задачи теории функций и некоторые их приложения к математической физике (печат.).
2. Н. И. Мусхелишвили. О решении задачи Дирихле на плоскости. Сообщения Акад. Наук Груз. ССР, т. 1, № 2, 1940.

ფიზიკა

დ. ჩილვინაძე

ანტიფრიქციული შენაღების დილატომეტრული შესჯავლა

1. დღემდე ცნობილი ანტიფრიქციული შენაღების რაციონალური გამოყენება გაძნელებულია მათი ფიზიკური თვისებების უცოდინარობის გამო. ამავე მიზეზების გამო გაძნელებულია ძვირად ღირებული შენაღების შეცვლის საკითხი ახალი ტიპის შენაღებით. ყველაზე უფრო გავრცელებული შენაღების ფიზიკური თვისებების შესახებ ცნობების შეგროვება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია შესაძლებელი.

საინტერესო შრომა იყო გამოქვეყნებული ბოჩეარისა და მაურახის [1] მიერ. ავტორებმა დილატომეტრული ტეთოდის⁽¹⁾ გამოყენებით განსაზღვრეს ხაზოვანი გაფართოების კოეფიციენტები მთელი რიგი ანტიფრიქციული შენაღებისათვის. მათ მიერ მიღებული შედეგები მოვიყვანოთ შემდეგი ცხრილის სახით:

ცხრილი I

№№	მარკის დასახელება	Sn	Sb	Pb	Cu	Ca	Na	t _s	α—ხაზოვანი გაფართოების კოეფიციენტი
0		100	—	—	—	—	—	232	23,5.10 ⁻⁶
1	Б—83	83	12	—	5	—	—	235	24,2.10 ⁻⁶
2	Б—16	16	16	65	3	—	—	243	26,5.10 ⁻⁶
3	Б—10	10	15	72	3	—	—	243	27,4.10 ⁻⁶
4	Б—C	—	17	81,5	1,5	—	—	243	26,5.10 ⁻⁶
5	Б—K	—	—	98	—	1,1	9,0	325	36,3.10 ⁻⁶

т.е.—სოლიდუსის ტემპერატურა.

ამის გარდა, დილატომეტრული მრუდების გადაღების დროს ავტორებმა შენიშვნეს, რომ ობიექტების გახურების დროს 200°C და ზევით, ყველა მოყვანილი შენაღებისათვის, გაცივების მრუდი არ ემთხვევა გახურების მრუდს და, რომ ოთახის ტემპერატურაზე მნათი წერტილის გამოსახულება მრუდის გადაღების შემდეგ დაბლაა მოთავსებული იმ მდებარეობასთან შედარებით, რომელიც გამოსახულებას მრუდის გადაღებამდე ჰქონდა.

აღნიშნული გარემოება ცხადად მიგვითითებს ობიექტის სიგრძის შემცირებაზე. სიგრძის შემცირება, დილატომეტრის ზბბარების დაწოლის გამო, შესამჩნევი ხდება 200°-ზე მრუდების გადაღების დროს. ამ მოვლენას შეიძლება უწოდოთ „გათელვა“.

(1) როგორც ბოჩეარი და მაურახი, აგრეთვე ჭინამდებარე შრომის ავტორი შევენარის ტიპის დიფერენციალური დილატომეტრით სარგებლობდნენ.

ანტიფრიქციული შენაღნების „გათელვის“ სიდიდის ცოდნა პრაქტიკაში გარეულ ინტერესს წარმოადგენს, რაღაც მასზეა დამოკიდებული საკისურში ღერძსა და სადებს შორის ღრეჭოს სისქის ცვლილება.

წინამდებარე შრომის მიხანია: 1) ანტიფრიქციული შენაღნების გათელვის სიდიდის ცვლილების შესწავლა უცვლელი წევის დროს მაღალ ტემპერატურაზე, 2) დილატომეტრული მეთოდით სოლიდუსის (Solidus) წერტილების განსაზღვრის შესაძლებლობის შესწავლა.

2. გ ა თ ე ლ ვ ი ს გ ა ნ ს ა ზ ლ ვ რ ი ს მ ე თ ო დ ი.

ჩვენ მიერ შესწავლილი იყო გათელვა შემდეგი — შენაღნებისა: ნ—10, ნ—16, ნ—83, ნ—K და ნ—C. ყოველ მათგანს (შენაღნები ჩვენ არ მოგვიმზადებია) ვაღნობდით გრაფიტის ტიგელში, და შემდეგ შევიწოვდით მინის მილში. გამყარების შემდეგ შენაღნს ვანთავისუფლებდით მინისაგან და ვამზადებდით ობიექტს, რომლის სივრცე 50 მილიმეტრი და დიამეტრი 5 მილიმეტრი იყო. ამრიგად მიღებულ ობიექტს ვათავსებდით დილატომეტრის კვარცის მილში და ვილებდით გახურებისა და გაცივების მრუდებს, თანაც გახურება ხდებოდა 200°C -მდე. ობიექტის დილატომეტრის მილთან ცუდად (არა მჭიდროდ) შეხებით გამოწვეული შეცდომის თავიდან აცილებისათვის ცდა / დილატომეტრის დაშლის გარეშე 3—4-ჯერ მეორდებოდა. ობიექტის სივრცის შემცირებას („გათელვას“) ყოველთვის ჰქონდა ადგილი, ფუმცა „გათელვის“ სიდიდე ცდის განმეორების ფროს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, თანდათანობით მცირდებოდა.

ანალოგიური ცდები ჩატარებული იყო შედარებით მაღალ ტემპერატურაზე (220°C და 230°C). გათელვის ხასიათი 200, 220 და 230°C ერთნაირია, ხოლო გათელვის სიდიდე მნიშვნელოვნად იზრდება ტემპერატურის ზრდასთან ერთად.

ცდების შედეგები შეიძლება მოვიყვანოთ ცხრილის სახით, სადაც გათელვის სიდიდე, რომელიც განსაზღვრულია როგორც დილატომეტრული მრუდის საწყის და საბოლოო წერტილთა შორის მანძილი მილიმეტრებში, წარმოადგენს. 4 ცდის შედეგად მიღებულ საშუალოს.

№ №	მარკის დასახელება	ცხრილი 2		
		გ ა თ ე ლ ვ ა 200°C	220°C	230°C
1	ნ—83	5	5,4	8
2	ნ—16	3,5	7,5	11
3	ნ—10	1,5	6,9	15
4	ნ—C	3	7,5	10
5	ნ—K	4,9	6	9

ობიექტის სიგრძის შემცირების ჭეშმარიტი მნიშვნელობის მისაღებად ცხრილში მოცემული რიცხვები უნდა გამრავლდეს ხელსაწყოს გამაღიდებლობის შებრუნებულ სიდიდეზე, ჩვენს შემთხვევაში $\frac{1}{300}$, ხოლო ფარდობითი გათელვის მისაღებად $\frac{1}{300,50}$.

მე-2 ცხრილიდან ჩანს, რომ ნ—10 და ნ—16 გათელვა შეტია, ვიდრე ნ—C, მაშინ როცა ნ—10 და ნ—16 სიმკვიდრე შეტია, ვიდრე ნ—C-სი. უნდა ვიფიქროთ, რომ გათელვა არა მარტივია დაკავშირებული მარტო სამკვიდრეოსთან. ისიც მოსალოდნელია, რომ ნ—C-ს ნაკლებად გათელვის მიხეხი მის შედარებით დიდ სიმკვიდრეში მდგომარეობდეს, რომელიც მას უმცირებს პლასტიკურად დეფორმირების უნარს.

3. ანტიფრიქციული შენადნების სტრუქტურა.

როგორც ცნობილია, ანტიფრიქციული შენადნები შედგებიან ძირითადად რბილი მასისაგან (ევტექტიკური ან პერიტექტიკური), რომლის შიგნითაც განაწილებულია სხვა ფაზების მცვიდრი (მაგარი) ნაწილაკები. მცვიდრი ნაწილაკები შეიძლება წარმოადგენდნენ ან სუფთა კომპონენტს, ან მყარ სნარს, ან ქიმიურ შენაერთს. ძირითადი მასა პლასტიკური თვისებისაა. პლასტიკურობა იზრდება ტემპერატურის გადიდებით.

ბუნებრივია დაისცას საკითხი იმის შესახებ, თუ რითაა გამოწვეული ანტიფრიქციული შენადნების გათელვა მაღალ ტემპერატურაზე: პლასტიკური დეფორმაციით, რომელსაც ადგილი აქვს რბილ მასაში, თუ დაბერებით და მოშვებით, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მყარ სნარში.

ამომწურავი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე დღეს-დღეობით, სამწუხაროდ, შეუძლებელია, რადგან ამ შენადნების მიეროვოროსურათები, გადალებული გათელვამდე და გათელვის შემდეგ, ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდებიან. მეტარე მხრივ, დაბერების მოვლენები არა საკმაოდ არიან შესწავლილი სამ და მეტ კომპონენტიანი შენადნებისათვის, ასე რომ თეორიულ მონაცემებზე დამყარებით სრულიად გარკვეული მოსაზრების გამოთქმა შეუძლებელია. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ოთახის ტემპერატურიდან 150° -მდე დილატომეტრული მრუდების გადალების დროს გახურებისა და გაცივების მრუდები ერთმანეთს ზუსტად თანხვდებიან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაბერებით და მოშვებით გამოწვეულ მოცულობის ცვლილებას ან საგსებით არა აქვს ადგილი, ანდა იგი იმდენად მცირეა, რომ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული. ასეთ ადვილად დნად შენადნებში რომ დაბერებას ადგილი ჰქონდა, იგი უნდა გამომეუავნებულიყო 150° ნაკლებ ტემპერატურაზე.

ზემოთქმულის გამო ვფიქრობთ, რომ ანტიფრიქციული შენადნების გათელვა მათი რბილი ნაწილის პლასტიკური დეფორმაციითა გამოწვეული.

4. სოლიდუსის წერტილს უწოდებენ ტემპერატურის იმ მნიშვნელობას; რომლის დროსაც მრავალკომპონენტიანი შენადნის ყველაზე უფრო ადვილად დნადი ნაწილი იწყებს გადასვლას მყარიდან თხევად მდგომარეობაში. სოლიდუსის წერტილების განსაზღვრისათვის დღემდე, ძირითადად, გამოყენებაშია „თერმული მეთოდი“ და ლეშატელიე-სალადინის დიფერენციალური მეთოდი¹. ეს მეთოდი, საერთოდ რომ ვთქვათ, იძლევიან საგსებით კარგ შედეგებს, მაგრამ მოითხოვენ ძვირფასი. იარაღებისაგან შედგენილ საკმაოდ რთულ დანადგარებს. ამის გამო მათი გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ დილატომეტრული მეთოდი მოგვცემს საკმაოდ კარგ შედეგებს, მაშინ მისი გამოყენება უცხველად მიზანშეწონილი იქნება როგორც კრიტიკული წერტილების განსაზღვრისათვის პირველი და მეორე გვარის² ფაზური გადასვლების დროს, ისევე მრავალკომპონენტიანი შენადნების სოლი-

¹ ამ მეთოდებით სარგებლობა შეიძლება ყოველთვის, როცა ფაზურ გადასვლას თან სდევს სითბრი ეფაქტი (ე. წ. ფაზური გადასვლა პირველი გვარისა). ამ შემთხვევაში ლეშატელიე-სალადინის მეთოდი განსაკუთრებით მგრძნობიარება.

დუსის წერტილების განსაზღვრისათვის. მით უმეტეს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დილატომეტრული მეთოდით სარგებლობა უფრო მარტივი და ხელმისაწილით. სოლიდუსის წერტილების განსაზღვრა დილატომეტრული მეთოდით ჩატარებულ იქნა იგივე ანტიფრიციულ შენადნებზე Б—10, Б—16, Б—83, Б—К და Б—С და აგრეთვე სამკომპონენტიანი თუთია-ალიუმინი-სპილენდის სისტემის თუთიის კუთხის შენადნებზე. იმ დროს, როცა სოლიდუსის წერტილები Б—10, Б—16, Б—83, Б—К და Б—С შენადნებისათვის სხვადასხვა ავტორების მიერ ცალსახადაა განსაზღვრული, სამკომპონენტიანი Zn—Al—Cu სისტემის ეფთექტური ტემპერატურისათვის სხვადასხვა ავტორების მიერ მოცემულია ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობანი. ასე, მაგალითად, ბურგარტის [2] მიხედვით ის უდრის 370°C , გებპარდტის [3] მიხედვით 377°C და ლობერგის [4] მიხედვით 375°C .

სოლიდუსის წერტილების განსაზღვრა დილატომეტრული მეთოდით შემდეგნაირად იქნა ჩატარებული: ობიექტი სიგრძით 50 მმ. მოთავსებულ იქნა დილატომეტრის ქვევითა კვარცის მილში. ზევითა მილში მოთავსებულ იქნა პიროვნეული დამზადებული ეტალონი (ეტალონიდ გამოდგება ნებისმიერი ნივთიერებისაგან დამზადებული დერო, რომელიც არ განიცდის ფაზურ გადასვლას ტემპერატურის განსახილველ შუალედში).

წესრიგში მოყვანილი დილატომეტრის მილებში ამჩიგად მოთავსებული ობიექტი და ეტალონი ერთდროულად ნელა ხურდებიან მილიანი ლუმელის საშუალებით. მნათი წერტილის გამოსახულება ეკრანზე აღწერს აღმავალ ტრაექტორიას, რომელიც ჰორიზონტალურ მიმართულებასთან გარკვეულ კუთხის შეადგნს. ეს კუთხი სოლიდუსის წერტილის მახლობლობაში, შენადნის რბილი ნაწილის პლასტიკურობის გაზრდის გამო, თანდათანობით მცირდება ნულამდე და შემდეგ მნათი წერტილის გამოსახულება ეკრანზე იწყებს ქვევით მოძრაობას. სრულიად გარკვეულ ტემპერატურაზე მნათი წერტილის გამოსახულება წყვეტს მოძრაობას მრუდხაზოვან ტრაექტორიაზე და გაცილებით დიდი სიჩქარით იწყებს მოძრაობას ვერტიკალურად ქვევით. ამ მომენტისათვის ტემპერატურის შემდეგი ზრდა შეწყვეტილია, ობიექტის სიგრძე (წერტილის ვერტიკალურად ქვევით მოძრაობის დროს) მცირდება, ეტალონის სიგრძე კი უცვლელი რჩება. მნათი წერტილის გამოსახულების ვერტიკალურად ქვევით მოძრაობის დაწყების ტემპერატურა შეესაბამება იმ ტემპერატურას, რომელზედაც იწყებს დნობას

ცხრილი 3

№ №	მარგის დასახლება, შენადნის შემადგენლობა	t_s -დილატო- მეტრ. მეთო- დით ნაპოვნი	t_s -სხვა მეთოდებით ნაპოვნი
1	Б—83	235°	235°
2	Б—16	243°	243°
3	Б—10	243°	243°
4	Б—С	245°	243°
5	Б—К	326°	325°
6	$93\%_{\text{Zn}} 3\%_{\text{Al}} 4\%_{\text{Cu}}$	370°	ბურგარტის მიხედვით 370°C
7	$91\%_{\text{Zn}} 6\%_{\text{Al}} 3\%_{\text{Cu}}$	369°	ლობერგის მიხედვით 375°C
8	$91\%_{\text{Zn}} 7\%_{\text{Al}} 2\%_{\text{Cu}}$	370°	გებპარდტის მიხედვით 377°C

ერავალკომპონენტიანი შენაღნის კველაზე უფრო ადგილად დანადი ნაწილი. ამიტომ იგი ჩვენ მიერ განსაზღვრულია როგორც სოლიდუსის წერტილი. დილატომეტ-რული მეთოდით განსაზღვრული სოლიდუსის წერტილების მნიშვნელობანი, როგორც ეს მცსამე ცხრილიდან ჩანს, ბევრ შემთხვევაში, კარგად თანხვდება-ან სხვა ავტორების მიერ ნაპოვნ მნიშვნელობებს.

ს სამკონენტიანი $Zn-Al-Cu$ შენაღის ევტექტიური ტემპერატურის ჩეც მიერ ნაპოვნი მნიშვნელობა თანხვდება ბურკვარტის მონაცემს. მართალია, სოლიდუსის წერტილის განსაზღვრის სიზუსტე არც ისე დიდია, ცალკეული მონაცემების შორის განსხვავება $1-2^{\circ}$ -დე აღწევს, მაგრამ ჰარეტიკული მიზნებისათვის იგი საკეთო საჭარისად შეიძლება ჩაითვალოს.

ცხრილში მოყვანილი მონაცემები 3—4 გაზომვის საშუალო მნიშვნელობებს წარმოადგენება.

დაბოლოს, თაგე ნებას ვაძლევ იმედი გამოვთქვა იმის შესახებ, რომ სოლი-
დუსის წერტილების განსაზღვრის დილატომეტრული მეთოდი პრაქტიკაში თა-
ვის გამოყენებას იპოვის.

2063360.

1. დილატომეტრული მეთოდის საშუალებით შესწავლილია ზოგიერთი მრავალკომპონენტული შენადნის მოცულობრივი ცვლილებანი.
 2. ანტიფრიქციული შენადნები, რომელნიც ძირითადად შეიცავენ ტყვიას და კალას, მაღალი ტემპერატურისა და მცირე წნევის პირობებში „გათელვას“ განიცდიან.
 3. უცვლელი წნევის დროს, დაწყებული 200°-დან, „გათელვა“ იზრდება ტემპერატურის ზრდასთან დაკავშირდებით.
 4. „გათელვა“ ახსნილია, როგორც შენადნის რბილი ნაწილის პლასტიკური დეფორმაციის შედეგი.
 5. მოცემულია სოლიდუსის წერტილების განსაზღვრის ახალი შეთოლდი მრავალკომპონენტული შენადნებისათვის და ნაპოვნია Solidus'ის წერტილები ზოგიერთი ახალი ტიპის შენაზღებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი

ତଡ଼ିଲ୍ଲିସି

სრალინის სახელობის
ობიექტის საწალმშევთ უნივერსიტეტის

ଶାରୀରିକ ପାଦପ୍ରତିକର୍ଷାରେ ଉପରେ ଆମାର ପାଦରେ

(შემოვიდა რედაქციაში 28.3.1945)

ФИЗИКА

Д. М. ЧИГВИНАДЗЕ

ДИЛАТОМЕТРИЧЕСКОЕ ИЗУЧЕНИЕ АНТИФРИКЦИОННЫХ СПЛАВОВ

Резюме

1. Дилатометрическим методом изучены объемные изменения некоторых многокомпонентных сплавов.
 2. При изучении сплавов на свинцовой и оловянной основе в условиях высокой температуры и небольшого давления устанавливается «смятие».

3. При неизменном давлении, начиная с 200°C , «смятие» увеличивается в зависимости от повышения температуры.
4. «Смятие» объяснено пластической деформацией мягкой основы сплава.
5. Предлагается новый метод определения точек солидуса для многокомпонентных сплавов.

Академия Наук Грузинской ССР
Институт физики и геофизики

Тбилиси

Тбилисский государственный университет
имени СТАЛИНА

ՅՈՒՂԵՑՄԱՆ ՀԱՅԱՀԱՅՐԱ—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. A. A. Бочвар и А. Н. Маурах. О коэффициентах линейного расширения антифрикционных сплавов. Ж. цвет. мет., № 4, 1930, 504—508.
2. A. Burkhardt. Zinklegierungen als Austauschwerkstoff. Z. für Metallkunde, B. 28, 1936, 299—308.
3. E. Gebhardt. Die Zinkecke des Dreistoffsystēms Zink—Aluminium—Kupfer. Z. für Metallkunde, B. 32, 1940, 78—86.
4. K. Löberg. Röntgenographische Bestimmung des Lösungsvermögens des Zinks für Aluminium und Kupfer. Z. für Metallkunde, B. 32, 1940, 86—90.



არაორგანული მიმები

ა. კალანდია და დ. გორგოშვილი

სპილენძ-ვოლფრამის ახალი ბრინჯაოს მიღება

სპილენძ-ვოლფრამის ბრინჯაოების შესახებ ლიტერატურაში არაფერი არ მოიპოვება, ამიტომ მნიშვნელობას მოქლებული არ იყო მათი შესწავლა.

რამდენიმე ნაშრომი, რომელიც სპილენძის ვოლფრამატების მიღებას ეხება, ამ სკიოთხებები ვერ იძლევა გარკვეულ პასუხს. მაგ., ე. ენსონის [1] თანახმად, კალიუმის ნორმალური ვოლფრამატის ხსნარზე სპილენძის მარილის მიმატებით ილექტები ღია მწვანე ფერის სპილენძის ვოლფრამატის ფხენილი. ჰაერზე გაშრობის შემდეგ მისი შემადგენლობა არის $\text{CuWO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$, გახურების შემდეგ კი ღებულობს მოყვითალო-ყავისფერს, ლლვება წითლად გახურებისას, გაცივების დროს კრისტალდება; კრისტალდები წარმოადგენს გამჭვირვალე ყვითელი ფერის ექვსწახნავიან პრიზმებს.

ც. შაიბლერმა [2] ბარიუმის მეტავოლფრამატისა და სპილენძის სულფატის ხსნარების ნარევის ფილტრატიდან მიიღო სპილენძის მეტავოლფრამატი, მონოკლინური ფირფიტების სახით, რომელსაც მიაქუთვნა $\text{CuO} \cdot 4\text{WO}_3 \cdot 11\text{H}_2\text{O}$ შემადგენლობა.

ჰ. შულცემ [3] 2/მოლ. ნატრიუმის ვოლფრამატის, 3 მოლ. სპილენძის ქლორიდის და 4 მოლ. ნატრიუმის ქლორიდის ნარევის ლლობით და ნალობი მასის აზოტმჟავით ცივად ექსტრაქტირების საშუალებით მიიღო თეთრი და მოწითალო-ყავისფერი კვადრატული პრიზმები, რომელსაც კუპრო-ვოლფრამატად (Cu_2WO_4) სთვლიდა. სინამდვილეში მას უნდა მიეღო ცივად ექსტრაქტირების დროს კუპრო-ვოლფრამატი ($\text{CuWO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$), ხოლო გახურებისას კი — CuWO_4 .

ე. ცეტნოვმა [4] გრამმოლეკულური რაოდენობით ღებული სპილენძის სულფატისა და ნატრიუმის ვოლფრამატის ნარევის გალლობით, გალლობილი მასის გაცივების შემდეგ წყლით გამოტუტვის საშუალებით, გამოტუტვის შედეგად მიღებული პროდუქტის აზოტმჟავით დაუკანვის და აზოტის ჟანგეულების მოცილების შემდეგ, მიიღო სპილენძ-ვოლფრამის ორმაგი მარილი ($\text{Cu}_2\text{WO}_4 \cdot 2\text{CuWO}_4$), რომელიც წარმოადგენს მეტითალო-მოყვისფერო კრისტალურ ფხენილს.

ს. გომზალესმა [5] 1 მოლ. ნატრიუმის პარაგოლფრამატის და 3 მოლ-სპილენძის სულფატის ხსნარიდან მიიღო სპილენძის პარაგოლფრამატი, რომელსაც ის გარკვეულ შემადგენლობას ვერ აკუთვნებს და ღრიშაგეს, რომ ის არის $5\text{CuO} \cdot 12\text{WO}_3 \cdot 33\text{H}_2\text{O}$ ან $3\text{CuO} \cdot 7\text{WO}_3 \cdot 19\text{H}_2\text{O}$ შემადგენლობის. სინამდვილეში კი მას უნდა მიეღო $[(\text{Na}_2\text{O})_{10} \cdot (\text{CuO})_3] \cdot 12\text{WO}_3 \cdot 32\text{H}_2\text{O}$ სახის ნაერ-

თი. მის მიერ მიღებული ნავრთი არის მომწვანო ფერის კრისტულური ნივთიერება, წითლად გავარეარებისას არ ლლება, მაგრამ გახურების შემდეგ ფერს იცვლის და ღებულობს მოყვითალო ფერს; ეს მარილი წყალში უხსნადია, რა-მდენიმე წვეთ აზოტმჟავა დამტებულ წყალში კი იხსნება და მიიღება გამჭ-ვირეალე ხსნარი, რომელიც რამდენიმე ხნით გაჩერების შემდეგ ჟელატინი-ზირდება.

ბ. ტამანის [6] დაკვირვებით სპილენძის ჟანგისა და ვოლფრამის სამუან-
გის გრამოლექტური რაოდენობით აღებული ნარევიდან სპილენძის ვოლფრა-
მატის (CuWO_4) წარმოქმნა აქტიურად მიმდინარეობს 600° -დან 800° -ტემპე-
რატურის ინტენსიურობით.

როგორც ვხედავთ, სპილენძის ვოლფრამატები საკმარისად არ არიან შე-
სწავლილი. რაც შეეხება სპილენ-ვოლფრამის ბრინჯაოებს, რომელნიც ღიღ
თეორიულ ინტერესს იწვევენ, სრულიად შეუსწავლელია.

ჩვენ სპილენძ-ვოლფრამის ბრინჯაობრის მისაღებად აღებული გვერნდა
სპილენძის ჟანგი და ვოლფრამშავის ნარევი, შემდეგი შეფარდებით: 1:2, 1:3,
1:4, 1:5, 1:6, 1:7 გრამორლექულებში.

აღნიშნული ნარევის აღდგენა წარმოებდა წყალბადის ატმოსფეროში მა-
ლალტემპერატურაზე ($600-800^{\circ}$) გახურებით. გამახურებელ ხელსაწყოთ გამო-
ყენებული იყო მარის პლატინის მრგვალი ლუმელი. ამ მეთოდით სპილენძ-ვილ-
ფრამის ბრინჯაოს მიღების მაქსიმალური ეფექტი იყო კება 700° -ზე, რაც ეთან-
ხმება ბ. ტამანის [6] გამოკვლევას იმის შესახებ, რომ სპილენძის ჟანგის და
კოლფრამის სამჟანგის ნარევის $600-800^{\circ}$ -ს შორის, გახურებით შიიღება სპი-
ლენძის კოლფრამატი მაქსიმალური ეფექტიანობით.

ცხრილი 1


1-ლ ცხრილში მოყვანილი ანალიზის შედეგების თანახმად ჩვენ მიერ აღებული სპილენძის ჟანგისა და ვოლფრამმჟავის ექვსი სხვადასხვა რაოდენობით აღებული ნარევიდან წყალბადის ატმოსფეროში მაღალტემპერატურაზე (600—700°) გახურებით მიღებულია 6 სხვადასხვა შემადგენლობის სპილენძ-ვოლფრამის ბრინჯაო, სახელდობრ:

CuW_2O_6 , CuW_3O_9 , $\text{CuW}_4\text{O}_{12}$, $\text{CuW}_5\text{O}_{15}$, $\text{CuW}_6\text{O}_{18}$, $\text{CuW}_7\text{O}_{21}$,

რომლებიც თავიანთი ფერების და შეფერვის გაღრმავების კანონზომიერების მიხედვით სრულიად ანალოგიური არიან ვოლფრამის ბრინჯაოებისა, რომლებმაც ასეთი სახელშოდება მიიღეს სწორედ თავიანთი შეფერილობის მიხედვით. განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ სპილენძ-ვოლფრამის ბრინჯაოები როგორც ძლიერ (HNO_3 , HCl , H_2SO_4), ისე სუსტ (CH_3COOH) და როგორც კონცენტრულ, ისე განზაგებულ მჟავებში და ამონიაკის წყალსნარში იხსნებიან. წყალში და ტუტებში კი უხსნადი არიან. ამიტომ მიუხედავად მათი შეფერილობისა, ესენი უნდა მიეკუთვნონ არამაძლარი ვალენტიანი სპილენძის ვოლფრამატებს.

ცხრილიდან ჩანს, რომ არამაძლარი ვალენტიანი სპილენძის ვოლფრამატების კუთრი წონები და ლლობის ტემპერატურები იზრდებიან სპილენძის ვოლფრამატებში შემავალი WO_3 -ის რიცხვის ზრდასთან ერთად. მათი შეფერა ღრმავდება მუქი ლურჯიდან მუქ ყავისფერში გადასვლით.

ზემოთ აღნიშნული გამოკვლევის თანახმად სპილენძის ჟანგისა და ვოლფრამმჟავას შორის წყალბადის ატმოსფეროში მაღალტემპერატურაზე (600-800°) გახურებისას რეაქცია უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი განტოლების თანახმად:



საქართველოს სსრ მეცნიერ-ბათა აკადემია
ქმითი ინსტიტუტი
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 5.5.1945)

НЕОРГАНИЧЕСКАЯ ХИМИЯ

А. А. КАЛАНДИЯ и Д. А. ГОРГИПШИЛИ

ПОЛУЧЕНИЕ НОВОЙ МЕДНО-ВОЛЬФРАМОВОЙ БРОНЗЫ

Резюме

Вольфраматы меди изучены недостаточно, а относительно медно-вольфрамовых бронз в литературе не имеются никаких данных. Поэтому изучение их не лишено интереса.

На основании проведенного нами исследования могут быть сделаны следующие выводы:

1. Впервые нами разрешен вопрос получения вольфраматов меди с ненасыщенной валентностью вообще и, в частности, получения их при высокой температуре ($600-700^{\circ}\text{C}$) в атмосфере водорода и объяснен механизм процесса получения названных соединений.

2. Нами были получены следующие составы вольфраматов меди с ненасыщенной валентностью: CuW_2O_6 , CuW_3O_9 , $\text{CuW}_4\text{O}_{12}$, $\text{CuW}_5\text{O}_{15}$, $\text{CuW}_6\text{O}_{18}$ и $\text{CuW}_7\text{O}_{21}$, совершенно аналогичные вольфрамовым бронзам по своему цвету и закономерному усилинию окраски, но отличающиеся от них способностью растворяться в водных аммиаках, как в сильных, так и слабых, а также как в концентрированных, так и разведенных кислотах, и не растворяться в воде и щелочах.

3. Их удельные веса и температуры плавления увеличиваются с увеличением входящего в их состав количества WO_3 .

4. Их окраска усиливается от темно-синей с постепенным переходом в темно-коричневую.

Академия Наук Грузинской ССР

Химический институт

Тбилиси

СОДЕРЖАНИЕ СОДЕРЖАНИЯ—ПИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. E. F. Antho n. Über Wolframsalzen. Journal f. praktische Chemie, 9, 341, 1836.
2. C. Scheibber. Untersuchungen Über wolframsaure Salze und einige Woiframoxydverbindungen. Journal f. praktische Chemie, (1), 80, 204, 1860.
3. H. Schultze. Beiträge zur Kenntnis der Wolframverbindungen. Annalen der Physik und Chemie, 126, 56, 1863.
4. E. Zett now. Cuprocupriwolframate. Annalen der Physik und Chemie, herausgegeben von Fogendorff, 130, 241, 1867.
5. C. Gonzalez. Cupriparawolframat. Journal f. praktische Chimie, (2), 36, 44, 1887.
6. G. Tam man n. Beiträge zur Kenntnis der wolframaten. Zeitschrift für anorganische Chemie, 149, 35, 1925.



პეტროგრაფია

გ. ძოჭენიძე

დასავლეთ საქართველოს ბარიტის საბაზოთა გენეზისის საქით-
ხისათვის

საქართველოში ბარიტის საბაზოები ფართოდ არიან გავრცელებული. საბჭოთა კავშირის ბარიტის საერთო ბალანსში საქართველოს ბარიტის საბა-
ზოებს მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავთ, ამიტომ მათი გენეზისის საკითხის გარკვევა ღიღ თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს. ამ წერილ-
Описание паразита, найденного в нашем материале нимфа—длина 5 мм, ясно-белого цвета; тело клинообразной формы с явно выраженной сегментацией; число сегментов достигает 90; все тело покрыто шиповатыми кутикулярными выростами. В расширенной головной части ясно виден рот. Пищеварительная система представлена прямой трубкой, заканчивающейся у ануса. Около рта имеются 2 пары симметрично расположенных хитиновых кружков, с придатками. В этой же области ясно виден зачаток половой системы, еще не сформировавшейся (см. вышеприведенный рисунок) *Linguatula serrata* (Fröhlich).

На основе имеющегося материала можно сделать следующие выводы:

1) *Lingulatula serrata* довольно широко распространена как в Западной, так и в Восточной Грузии, возможно, что диапазон ее распространения и круг хозяев более широк, чем это известно до сих пор;

2) желательно введение на бойнях систематического обследования органов забитого скота (легкие, печень, железы) и уничтожение инвазированных, поскольку лишь это представляет собой единственное профилактическое мероприятие, могущее иметь реальное значение (Скрябин);

3) целесообразно проведение плановой, систематической работы в широком масштабе по изучению видового состава, распространения *Linguatula*-ы в условиях Грузии, а также выявления постоянных и промежуточных хозяев, с тем, чтобы в результате этого возможно было своевременно выработать необходимые профилактические и терапевтические мероприятия.



ЗООЛОГИЧЕСКАЯ ПАРАЗИТОЛОГИЯ—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Ф. Гутора и И. Марек. Частная патология и терапия домашних животных, т. II, М.—Л., 1939.
2. Е. Н. Павловский. Курс паразитологии человека, Л., 1934.
3. К. И. Скрябин (ред.). Ветеринарная паразитология и инвазионные болезни домашних животных, ч. III, М., 1939.
4. Н. И. Холодковский. Учебник зоологии и сравнительной анатомии, 1914.

ენათევცილება

დავ. იმარჯვილი

რთული დამოკიდებული ფინანსების ერთი კავშირის გენეზის სათვის
ბაცბურ (წოვა-თუშურ) ენაში

მთის კავკასიურს ენებში ჰიპოტაქსი არაა ჩამოყალიბებული. აქ ფორმით
მარტივი წინადადება გაღმოსცემს იმ შინაარსს, რაც ჰიპოტაქსის მქონე ენებში
რთული დამოკიდებული წინადადებითაა გაღმოცემული. ამ მხრივ მთის კავკა-
სიურ ენებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბაცბურ (წოვა-თუშურ)
ენასა და ჩანარის ენის პანკისურ კილოს, სადაც ქართული ენის გავლენით ჩა-
მოყალიბდა რთული დამოკიდებული წინადადება.

ამ წერილის მიხანია რთული დამოკიდებული წინადადების ერთი კავში-
რის—დახმე-ს—გენეზისის საკითხის გარკვევა ბაცბურ ენაში.

დახმე მიზეზის გარემოების დამოკიდებული წინადადების კავშირია; იგი
ქართულის რადგან კავშირის უდრის ფუნქციით. ეს კავშირი ა. შიფნერს აც
აქვს აღნიშნული ([1], გვ. 66, § 225), ოღონდ იგი ამ კავშირის გენეზისის სა-
კითხს არ არკვევს.

დახმე კავშირის მაგალითებია: იასე ქებალვან ვეჭინი ვა, დახმე ლაზი-
ში, (ლაზერში) ცამოდ „იასე საქებია, რადგანაც კარგად სწავლობს“ ([2], იხ. სი-
ტყვა ქებალ(—)არ);

გაბო საჯარიმე გათვასგო(ჰა), დახმე ლახნ ჟაველ დაქითიენ „გაბო „სა-
ჯარიმე“ გვყავს, რადგანაც საქონელს ყანაში შესვლის შესაძლებლობა მისცა“
([2], იხ. სიტყვა საჯარიმე).

დახმე კავშირის გენეზისის საკითხი რომ გაირკვეს, უნდა გავითვალისწი-
ნობ შემდეგი: ბაცბურში მოპოვება მიზეზის გამომხატველი ზმნისართები
დახმე' (|| დახმე), დახ, რომლებიც ფუნქციით ქართულის „ამიტომ“, „იმიტომ“,
„ამის გამო“-ს უდრის (შდრ. [1], გვ. 66, § 225). მაგალითად:

ბაცბი საბლეხინ ქესრივ ნახ დაქ, დახმე დახე ჟერუშეგო ჰაპუან ლაზიშხ
(ლაზერშხ). „ბაცბები უმეტესად მშრომელი ხალხი არის და ამიტომ ცხოვრობენ
სხვებთან „შესახედად“ უკეთესად“ ([2], იხ. სიტყვა ქესრივ).

დახმე ფორმა დახმე'-ისაგან მიღებული ჩანს. დახმე'-სა და დახ-ს შორის
თთქოს ფუნქციონალური სხვაობაც შეიმჩნევა: ზუსტად რომ გთარგმნოთ, და-
ხმე' უდრის „სწორედ იმიტომ“-ს, ხოლო დახ— „იმიტომ“-ს. ამ ორ სიტყვას
შორის განსხვავებას ე' ნაწილაკი უნდა ქმნიდეს. ასეთი ნაწილაკი ამჟამადაც არ-
სებობს ბაცბურში, მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს; ზოგჯერ იგი ქართულის
ვე ნაწილაკს უდრის ფუნქციით. ([3], გვ. 486). მაგალითები:



სო ჩუბაე ვარასო, მაცმე წყაი თოფ დალენ „შე მაშინ შინ, უზიშებულებელ თვე ვიყავი, როცა გარეთ თოფი გავარდა“ ([2], იხ. სიტყვა ჩუბაე). ჩუბაე = „შინვე“, „ჯერ კიდევ შინ“. „შინ ვიყავ“ რომ ყოფილიყო გაღმოსაცემი, იქნებოდა — „ჩუბა ვარასო“, ანდა ადრინდელი ფორმა: ჩუბა ვარასო.

არის შემთხვევები, როცა ამავე ფუნქციით ა' ნაწილაქიც გვევლინება: ინცა' ისევ და' სონ „ეხლავე აქ მომიტანე“ ([4], იხ. სიტყვა ეხლა, ეხლავე); ინცა' = ეხლავე; ა' (= ვ) ნაწილაქის გარეშე იქნებოდა ინცა, რომელიც ინცა-დან უნდა მოდიოდეს (შრდ. [5], გვ. 177, სიტყვა ჰინცი).

ინცა' ფორმის ე'-ისაგან მომდინარე ჩანს. ასე რომ, ზემოაღნიშნული ფუნქციისათვის ბაცბურში ე' ნაწილაქი უნდა გვქონდა; ა' ფორმანტი მეორეული წარმონაქმნია:

დახე' (|| დახე), დახ და დახმე ერთნაირი წარმოშობის ფორმებია: ორივე შინების გარემოებასთანაა დაკაშირებული, ოღონდ, დახე' (|| დახე), დახ მთავარს წინადადებაშია გამოყენებული, ხოლო დახმე, როგორც უკვე აღნიშნეთ, დამოკიდებული წინადადების კაშირია. გავიხსენოთ ქართულის კაშირი იმიტომ რომ, ამის საპირისპიროა ზმინისართები — იმიტომ, ამიტომ, რომლებიც ისევე, როგორც დახე' (|| დახე), დახ, მთავარს წინადადებაში გვხვდება; იმიტომ რომ-სა და იმიტომ-ს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც დახმე-სა და დახე' (|| დახე), დახ-ს შორისაა. აქედან გამოდის: სპეციფიკური რამ, რაც დამოკიდებული წინადადებისთვისაა დამახსიათებელი, არის: ქართულში რომ, ხოლო ბაცბურში — მე. მართლაც, ბაცბურში მოიპოვება მე კავშირი, რომელიც ფუნქციით ქართულის რომ კავშირს უდრის; მე აკავშირებს დამატებითს, განსაზღვრებითს, ვითარების გარემოებისა და მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას. მაგალითები:

დამატებითდ დამოკიდებული წინადადება: ყანში ქასტე, მე ყონში თხე კელ მაქ, კელვე, ცო დახეგინ... „მოხუცები ჩივიან, რომ ქალვაზრდები ჩვენ ადათხე აღარ ცხოვრობენ“ ([2], იხ. სიტყვა კელ);

განსაზღვრებითი დამოკიდებ. წინადადება: ოშტუნ გოუმნა და, მე ჩუხაუშ-ლა ცომიჩხე და „ისეთი უსწორობაა (სიმრუდეა), რომ დასაჯდომი არსად არის ([2], იხ. სიტყვა ჩუხაუშ);

ვითარების გარემოებით დამოკიდებ. წინადადება: ფშელოვ უშში, უშტერ, ძაგძაგითორ სოგრ, მე ცარკ ცარკე ეეთთითორ „სიცივე ისე მაკანკალებდა, რომ კბილს კბილზე აცემინებდა“ ([2], იხ. სიტყვა ძაგდაგდარ);

მიზნის გარემოებით დამოკიდებ. წინადადება: წენინ გოგის ლობ ეჩწე მიკან, მე დახნ ჩუ ცო დაღოლო „სახლის ირგვლივ საჭიროა გაიღობოს, რომ (რათა) საქონელი არ შევიდეს“ ([2], იხ. სიტყვა ლობ მიკან).

ამნაირად, დახმე-ში გამოიყო მე (= „რომ“) კავშირი; გვრჩება დახ ფორმა რა წარმოშობისაა დახ?

ჩაჩნურსა და ინგუშურში არსებობს პრევერბი დჟა, რომელიც აღნიშნავს მოძრაობას აქედან იქით: დჟაბახბრ „უშ— „წავიდნენ ისინი“ (წირმოებულია (—) დახბრ — „სელა“ ზმიდან).

(1) (—) აღნიშნავს კლას-კატეგორიის ნიშნის ადგილს.

დამოკიდებულისირ— „გადაისროლა“, „გადაგდო“ (წარმოებულია ჯურის პრეზიდენტი = „გადაგდება“, „გადასროლა“ ზმინიდან).

აღნიშნული პრევერბი უკავშირდება III პირის მითითებით ნაცვალსახელს — დაჭ-ს, რომელიც გვაქვს დაჭ-რინიგ (ჩაჩნურად, = „იგი“) — სა და დაჭ-რ (ინ-გუმურად, იმავე მნიშვნელობით) ფორმებში. დაჭ—დაჭ-პ, ამ უკანასკნელის და-მაღალასტურებლად შემდეგი ფაქტიც გამოდგება: არსებობს პრევერბი დაჭ—ს სპეციალური ქართულის „იქით-აქეთ“—ს უდრის. სპეც მიღებულია: სო—პირ-ველი პირის პირითი ნაცვალსახელი (მე) პლუს ჰავა—შიმართულების აღმნიშვნე-ლი ნაწილაკი, ე. ი. ს ჰავა უდრის ჩემკენ — პირელი პირისკენ. ასევე უნდა დაიშალოს დაჭ-ც: დაჭ—დაჭ-პ. დაჭ-პ → დაჭ-პ → დაჭ-პ: დაჭ-მ დაჭ მოგვცა ასიმილაციით; ეგვევ ჰავ უცვლელია სპეც-ში, რაღაც ს ფშვინვიერია და ამდე-ნად მას, არ შეუძლია ჰავ მეტერ სპირანტად ჭ-დ—აქციოს¹.

ამნაირად, *და-ჰავ-ში და მესამე პირის ნაცვალსახელის ფუძეა, ჰავ—სუ-ფიქსია.

ბაცბურში დაჭ, *დაჰავა ნაცვალსახელი არა გვაქვს; სამაგიეროდ გვაქვს პრევერბი და ჰავ = „იქით“, რომელი პრევერბი სო-და(ჰა) = „აქეთ-იქით“ და თანდებული და(ჰა), რომელიც ფუნქციით ქართულის გან თანდებულს უდრის. მაგალითები:

დაჰავ(—) იყარ „შაყვანა“ ((—) იკარ ზმინიდან) სო დაჰავ(—) იყარ „აქეთ-იქით შაყვანა“, მიმოყვანა.

სო-დაჰავლელარ—„მიმოსვლა“ და სხვა.

თანდებული და(ჰა): ზღვილობ და(ჰა)—„ზღვიდან“ უღსრენდა(ჰა) „იქიდან“ წინრენდა(ჰა) „სახლიდან“ და სხვა.

აქედან ჩანს, რომ, მართალია, და ნაცვალსახელის შინაარსით ბაცბურში ამეამად არა გვაქვს, მაგრამ პრევერბებისა და თანდებულის ფორმები ადასტუ-რებენ, რომ და ფორმა ისევე, როგორც ჩაჩნურსა და ინგუშურშია, ბაცბურ-შიც უნდა ყოფილიყო. ბაცბურისა და ჩაჩნურ-ინგუშურის აღნიშნული პრევერ-ბების შედარება საშუალებას გვაძლევს ჩაჩნურში მომხდარი ცვლილებებიც გა-ვითვალისწინოთ: ბაცბურის დაჰავ-ში იღრინდელი ფორმაა შემონახული: აქ გვაქვს ჰავ და არა ჭ; გარდა ამისა, ბაცბურის სო-დაჰავ-ში სო(— სოჰა) საშუალებას გვაძლევს ჩაჩნურის სპეც სოჰა-საგან მომდინარედ ჩაგთვალოთ. ბაცბურსა და ჩაჩნურ-ინგუშურს შორის კიდევ ერთი განსხვავებაა: ჩაჩნურ-ინგუშურში არა გვაქვს დაჭ თანდებულად გამოყენებული. ბაცბურში დაჰავ თანდებულადაც გვაქვს და პრევერბადაც (ზდრ. ქართ. გავიდა სახლითგან, შევიდა სახლში და სხვა მსგავსი შემთხვევები).

პრევერბებსა და თანდებულებზე ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერ-დით, რომ დახე(॥ დახე), დახ-სა და დახმე-ში არსებული და წარმოშობით იმავე ჩევნებითს ნაცვალსახელს უკავშირდება, რასაც დაჰავ პრევერბი და თან-

¹ საენაომეცნიერო საუბრების ერთ-ერთ სტრომაზე ქ. ლომთათიძემ დაჭ-ში არ-სებული ჭ ჰა-საგან მომდინარედ მიიჩნა. ეს მოსაზრება ზემომყვანილი ფაქტებითაც დასტუ-რდება.

დებული დაცუკავშირეთ: ორივე შემთხვევაში ამოსავალია III პირის ჩვენებითი ნაცვალსახელის ფორმა და.

რაღა არის დას ფორმანტის ხ? ხ ბრუნვის ფორმაა, უკეთ, თანდებულია, რომელსაც ბაცბურში ქართულის გან, გამო თანდებულების ფუნქციის გადმოცემაც ენიჭება. მოვიყვანთ მაგალითებს ტექსტებიდან:

მაშიკ ლევიზ: ხანტოლე ხ ქორთ ცო ბილ მაკინ სონ „მაშიკ ამბობდა: და როის უქონლობისა გამო თავი ვერ დავიბანე“ ([2], იხ. სიტყვა ხანტოლ). ხანტოლ=„უდროობა, ნათესაობით—ხანტოლენ, მიცემითი ხანტოლენ, შემცველობითი ხანტოლე ხ. ამ უკანასკნელი ფორმის მაგალითია ზემოაღნიშნულს წინადადებაში.

მოვიყვანთ სხვა მაგალითი:

ცაფწოლე ხ მეყდუიც იცხუს ჯერონ ვუნახი შარნ „უსირცხვილობის გამო იტოვებს ხომ ეგ სხვის რალაცებს“ ([2], იხ. სიტყვა ცაფლი 6). ცაფწოლ=„უსირცხვილობა“, ცაფწოლ-ე-ხ=„უსირცხვილობის გამო“.

ამნაირად, გამოირკვა, რომ დახმე კავშირი ასეა შედგენილი: და—მესამე პირის ნაცვალსახელი—პლუს ხ—„ბრუნვის ნიშანი“—პლუს მე (=„რომ“) კავშირი. რადგან დახე' (|| დახე), დას ზმნისართების დას იგივეა, რაც დახმე კავშირში გვაქვს, ამიტომ ზემოთქმულით დახე' (|| დახე), დას ზმნისართების გენეზისის საკითხიც გაირკვა. გამოდის, რომ დახე' ფორმაში ე' ნაწილაკი ე. წ. შემცველობითი ბრუნვის ფორმაზე დართვის შემთხვევები სხვაგანაც შენიშნება; მაგალითად, ჰამახა ლაზეუსტ ნიშანეს „ყველაზე უკეთესი“ „ყველაზე კარგი“ ([4], იხ. სიტყვა ცველა, ცველაკაი). ჰამახა ე-ში ჰამახა ე. წ. შემცველობითი ბრუნვის ფორმაა. მართალია, ჰამახა ფორმა ცალკე არ იხმარება, მაგრამ გვაქვს ასეთი გამოთქმა: ჰამახა ლივა(ჰა)—„ვილაცას შესახებ, ვილაცაზე ლაპარაკობ“. აღნიშნულ გამოთქმაში ჰამახა ე. წ. შემცველობითი ბრუნვის ფორმაა⁽¹⁾. ჰამახა ე' ფორმაში ე' ნაწილაკის მნიშვნელობა ამჟამად დაჩრდილულია.

აღნიშნული ზმნისართისა და კავშირის გენეზისის საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელოვან მასალას იძლევა პანკისის ხეობაში, კერძოდ, სოფ. ომალოში მცხოვრებ ქისტთა მეტყველება, სადაც დავადასტურეთ დეს=„იმიტომ“ ზმნისართი: მაგალითად, ჩავიწერეთ ასეთი წინადადება: „ას დე წენტოშ, მე ქართ იშთ დეს ეჯითირ ჰაშუეგ, მე სენ ვერე ცჰაქ მსათოლ „მე ეს სახლი და ეზო ასე იმიტომ აგაშენებინე, რომ მე მყავდა მტერი“ ([6], გვ. 222).

(1) ამ ბრუნვას სხვადასხვა ფუნქცია აქვს: 1. -გამო: ავადმყოფობის გამო უსირცხვილობის გამო; 2. აღნიშნავს იმ სახელს, ვის შესახებაც (ან რის შესახებაც) ლაპარაკია, ანდა ვისხედაც (ან რაზედაც) მეორე საგანი უკეთესია: (ჩემს შესახებ ლაპარაკობს...; ჩემზე უკეთესია...).

(2) გარდა დეს ზმნისართისა, ამ წინადადებაში დასტურდება მე (=„რომ“) კავშირი. რომელიც როგორც ფორმით, ისე ფუნქციით ბაცბურის მე კავშირის შესატყვისია.

აქ არ შევუდგებით დეს ზმნისართის ანალიზს. ვიტყვით მხოლოდ, რომ
დეს ზმნისართის დეს-ს ისევე, როგორც ბაცბურის დახე (|| დახე), დახ-სა და
დახმე კავშირის დას-ს, შესატყვისი ფორმები მოექოვება ზმნისართებსა და
პრევერბებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტი
თბილისი

(შემოვთხა რედაქციაში 13.10.45)

ЯЗЫКОВЕДЕНИЕ

Д. С. ИМНАЙШВИЛИ

К ГЕНЕЗИСУ ОДНОГО ПОДЧИНИТЕЛЬНОГО СОЮЗА В БАЦБИЙСКОМ (ЦОВА-ТУШСКОМ) ЯЗЫКЕ

Резюме

В отличие от других горских кавказских языков в бацбийском (цова-тушском) языке и в панкисском говоре чеченского языка имеется сложноподчиненное предложение, развившееся под влиянием грузинского языка.

Целью данной статьи является выяснить генезис подчинительного союза დახმე daxme в бацбийском языке.

Союз დახმე daxme, подчиняя придаточное предложение обстоятельства причины главному, обозначает потому что, так как, ибо.

Для выяснения генезиса союза დახმე daxme нужно учесть, что в бацбийском языке существуют наречия причины დახე' daxe' (→ || დახე დახე), დახ dax; первое обозначает именно потому, второе — потому. Различие между этими наречиями создается частицей ე' e', которая используется и в других случаях.

Между словами დახე' daxe', დახ dax, с одной стороны, и დახმე daxme с другой, существует такое же различие, какое, например, между словами потому и потому что в русском языке.

В бацбийском языке наличен союз თე te, подчиняющий придаточные предложения дополнительное, определительное, образа действия и обстоятельства цели — главному. Таким образом, частица თე te, входящая в состав союза დახმე daxme, восходит к вышеуказанному союзу.

На основе вышесказанного автор приходит к выводу, что და da, входящая в состав დახ dax, восходит к указательному местоимению III-ого лица, а — ხ x представляет собой остаток т. н. включающего падежа.

Помимо этого, в панкисском говоре чеченского языка автор находит наречие დეხ dex (= «потому»), соответствующее вышеуказанному наречию бацбийского языка.

Академия Наук Грузинской ССР
Институт языка им. акад. Н. Я. Марра
Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. A. Schießner. Versuch über die Thusch-Sprache oder die Khistische Mundart in Thuschetien, St. Petersburg, 1856.
2. ქადაგიძე. ბაცბურ (ჭოვა-თუშურ)-ქართულ-რუსული ლექსიკონი (ხელნაწერი—ენის ინსტიტუტის კავკ. ენათა განყოფ.).
3. დავ. იმნაიშვილი. ერთი სუფიქსის გენეზისისათვის ჩაჩნური ჯგუფის ენებში. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 6, 1945.
4. დავ. ქადაგიძე. ქართულ-ბაცბური (ჭოვა-თუშური) ლექსიკონი (ხელნაწერი—ენის ინსტიტუტის კავკ. ენათა განყოფ.).
5. П. Услар. Чеченский язык. Этнография Кавказа, II, 1888.
6. ქისტური ტექსტები შეკრებილი დავ. იმნაიშვილის მიერ (გამოუქვეყნებელია).



პრემიოლოგია

გ. ლევალიძე

მინისაბერი წარმოების ნაშთები, რომელთაც ქვემოთ იღვწერ, ჯერ კიდევ 1918 წელს აღმოვაჩინე კარსნიხევში, ხოლო 1920 წლის 11 მარტს მათ შესახებ მოკლედ მოვახსენე არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიურ განკუთვილებას. ჩემ მიერ დაგროვილი მინის ფრაგმენტები შესანახად გადაცემული აქვს სახელმწიფო ერმიტაჟს, ლენინგრადში.


როგორც ისტორიული ცნობების მიხედვით ვიცით, კარსანი საქართველოს ძეველი დედაქალაქის, მცხეთის ერთერთ გარეუბანს წარმოადგენდა. ეს სოფელი მიკუთხებული ჰქონია მცხეთის ტაძარს [3, 5]. 1616 წელს კარსანი ააოხრა შაჰ-აბაზბა და მას შემდეგ იგი აღარც აღმდგარა [2].

„დიდი მთის“ კალთებზე ჩამომდინარე ხევის კალაპოტში, ზედ მაგნეტურ ობსერვატორიასთან, მრავლად ეყარა ძეველებური მინის ნამტვრევები. ხევს რომ აღმა ავყევი, გამოვარევიე, რომ ეს ნამტვრევები წყალს ჩამოეტანა ხევის ზემოწელის მარჯვენა ფერდობის ხრამიდან, რომელიც ობსერვატორიის საცხოვრებელი ბინების სამხრეთით, მათგან 200 მეტრის მანძილზე მდებარეობს.

ამ აღვილას დაზვერვის მიზნით ორი მცირე თხრილი გავიყვანე — ერთი ფერდობის თავში და მეორე ძირში. ქვემოთ, ხრამის ძირში, თიხის ფენის ქვეშ, აღმოჩნდა 75 სმ სისქე კულტურული ფენა, შემდგარი ნახშირის დიდრონი ნატეხების, თიხის, ღორლის, აგურის ნატეხებისა და თიხის ჭითელი, შავი და თეთრი ჭურჭლის ნამტვრევებისაგან. ორიოდე მეტრით ზემოთ, მცენარეული ფენის ძირში, თავი იჩინა საქმიად თხელმა (20—25 სანტიმეტრი) ფენამ, შემდგარმა ნახშირის ნაფხვენის, წვრილ-წვრილი ნატეხებისა და დამბალი ნაშთებისაგან, რომელშიც მრავლად იყო ცხოველთა (ხარის, ძროხის, ცხვარის, თევზის) ძვლები, თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, მინის ჭურჭლის ნამტვრევები და აგრეთვე მინის სამაჯური. განსაკუთრებით მინიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ეს ფენა შეიცავდა დიდად წილის, თიხის სქელი, მინისფენიანი (მინისსადული) ქოთნების ნატეხებს, მინის წვეთებსა და ძაფებს და სხვა მსგავს ნაშთებს, რომელიც მოწმობდნენ, რომ თავის დროზე ამ ხრამის ფერდობზე ზემოდან სისტემატურად უყრიათ. მინის წარმოების მონარჩენი და დამტვრეული ნაწარში. ტყეში, ზედ ხრამის ფერდობის თავშე მდებარე ვაკეზე შევამჩნიე ორმოები, რომელიც შეიძლება მინის ქარხანასთან დაკავშირებულ ნაგებობათა ნაშთებს წარმოადგენდნენ.

ჭითელი და კარგად განლექილი, მოთეთრო თიხისაგან გამომწვარი საოჯახო ჭურჭლის ნამტვრევებზე გამოხატულია ნაჩხვლეტი, ტალღებრი ან ზიგ-

ზაგური ორნამენტი, ხოლო შავად გამომწვარი ჭურჭლის ნატეხებზე კი ორნამენტი მეტწილად წარმოდგენილია ხშირი ჰორიზონტული ლარებით. თეთრი და წითელი თიხის ჭურჭლის ყურების ნატეხებზე ზოგჯერ ვხედავთ სამკაულს — ზედ დაძერწილ მომცრო „შეჭრებს“. ზოგიერთი ნატეხი დაფარულია ფირუზისფერი, ზეთისხილისფერი, მწვანე, მოოქროსფრო-ყვითელი, თეთრი ან შავი ჭიქურით. მოხერხდა ნამტვრევებისაგან ოთხი სხვადასხვა ჭურჭლის თითქმის საცხებით აღდგენა (სურ. 1). ეს ჭურჭლებია:



სურ. 1.—კარსნული კერამიკა (ბუქებრივი ზომის $\frac{2}{10}$). а—მათლაფა, რომელსაც ზეთისხილის—ფერ-მომწვანი ჭიქურა აქვს მოსმული და ცისფერი სახეები ამკობის; б—სანათი (გვერდიდან და ზემოდან); с—წითელი თიხის ჭურჭელი; д—შავად გამომწვარი ჭურჭელი.

Рис. 1.—Керамика из Карсани (о,2 натуральной величины): а—тарелка оливково-зеленой поливы с голубым узором; б—светильник, вид сбоку и сверху; в—сосуд красной глины; д—сосуд черного обжига.

1) წითლად გამომწვარი თიხის მათლაფა. დაფარული ზეთისხილისფერ-მწვანე ჭიქურით, რომლის ფონზედაც ცისფრად გამოყვანილია ორი ურთიერთ-მკეთრი ტოლფერდა სამკუთხედი. ეს გეომეტრიული მოტივი („დავითის ფარი“) ძველათგანვე ფართოდ იყო გავრცელებული. ამგვარი ორნამენტით შემკულ თევზებს ვხედავთ, მაგალითად, მთანი ყარაბაღის სოფ. ჩენოხხიში აღმოჩენილ საფლავის ქვაზე, რომელზედაც ლხინია გამოხატული [6].

2) მწვანე ჭიქურით დაფარული თიხის მომცრო, სამკუთხოვანი სანათი, ჩვეულებრივი მოყვანილობისა. ერთი ამგვარი სანათი, თბილისის ტიხის ნანგრევთა მახლობლად აღმოჩენილი, აღწერილი აქვს ვ. ვირუბოვს.

3) წითლად გამომწვარი თიხის დიდი, ყელფართო, ორყურა დოქის ზემო ნახევარი. ყურების ძირთა დონეზე დოქის გარშემოუყვება მარტივი ტალღებრი ორნამენტი.


4) შავად გამომწვარი თიხის საშუალო ზომის რაღაც ჭურჭლებს ნაწილი, რომელსაც ბოლოებ-ჩამოკვეთილი ელიფსოიდის მოყვანილობა აქვს. ვიწრო ნახერეტის ბაგე მხოლოდ ოდნავაა გაღმოკეცილი. მთელი ზედაპირი ხშირი ჰორიზონტული ხაზებითაა დაფარული.

საერთოდ კერძმიერის ნაშთები არაა მაინცა და მაინც ბევრი. ზემოთ აღწერილი ფორმები შეგვიძლია დაახლოებით XV—XVI საუკუნეებით დავათარილოთ. ისინი რამდენადმე მოგვაგონებენ სოხუმის მიდამოებში, კულტურული ფენებიდან მოგროვილსა და ვ. სიზოვის მიერ შესწავლილ კერძმიერს [6], ოლონდ მათი შეფერილობა რამდენადმე უფრო მწირია: ფერების გამამა უფრო მომწვანო ტონებისაკენ მიიღილტვის და ორნამენტიც უფრო მარტივი და ტლანქია.

ლითონის ნივთებიდან აღმოჩენილია მსხლისებრი მოყვანილობის ეფვანი ბრინჯაოსი და რკინის სწორკუთხოვნად მოლუნული ღრეული.

ახლა გადავიდეთ მინის ნაშთებზე, რომელთაც უფრო დაწვრილებით აღვწერთ.

მინის მოელი ჭურჭელი არცერთი არ აღმოჩენილა და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ცხადია, რომ ქარხნიდან სანაცვეზე მხოლოდ ნამსხერევებს გადაჰყრიდნენ. ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება თხელი (0,5 მმ), კონუსური მოყვანილობის ჭიქათა ფრაგმენტები. მინა ოდნავ მომწვანოა, მრავლად შეიცავს პაერის ბუშტებს და ზოგჯერ თეთრ წვრილ „უიუმატებსაც“. პირს ირგვლივ, ხოლო ორ შემთხვევაში მუცელს ირგვლივაც ამ ჭიქებს შემოჭერილი აქვთ კარგად შელლობილი ძაფები ძოწეულ-იისფერი და გაცილებით იშვიათად კი ცისფერი მინისა (სურ. 2, a—d). ფსკერისა და კედლების შემონახულ ნატეხთა მიხედვით ჭიქებს უნდა ჰქონდათ წვერკვეთილი კონუსის წესიერი ფორმა, 6—8 სმ პირის დიამეტრი, 12—15 სმ სიმაღლე და ძალიან პატარა, ოდნავ შედრეკილი-



სურ. 2.—კარსანში აღმოჩენილი, ადგილობრივ ნაჭარმოები მინის ჭურჭლის ნამტვრევები: a, b, c—გარშემოჭერილი ძოწისფერი ძაფით შემცული, ოქლკედლიანი ჭიქების ფრაგმენტები (ბუნ. ზომის); d—იგივე, ცისფერძაფანი; e—ჭიქის რეკონსტრუქცია (ბუნ. ზომის 1/2); f, g, h—მინის ჭიქები (ბუნ. ზომის).


წვეთი „უიუმატითურთ“ გვერდიდან, ზემოდან და ჭრილში (ბუნ. ზომის).

Рис. 2.—Стекло из Карсани местного производства: a, b, c—фрагменты тонкостенных стаканов, орнаментированных обтяжкой пурпурной ниткой (натуральной величины); d—тоже с голубой ниткой; e—реконструкция стакана (1/2 нат. вел.); f, g, h—капли стекла с „крупкой“, вид сбоку, сверху и в разрезе, (натуральной величины).

ძირები (სურ. 2, e). საქართველოში დიდი ხანია ცნობილია ასეთი ფორმის, ოლონდ თიხისგან გაკეთებული სასმისები.

უფრო იშვიათად გვხვდება ფრაგმენტები თხელი ჭურჭლისა, რომელთაც გვერდებზე ოვალური შენაღრევები აქვთ.

განსაკუთრებით საინტერესოა სქელი, თითქმის უფერული მინისაგან ნაკეთები ჭურჭლის ორი ფრაგმენტი, რომელთა ზედაპირი გახევვითაა დამუშავებული. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ჩამოსხმულ — ნაყალიბევი ჭურჭლების ნამტვრევები (სურ. 3).



სურ. 3.—რომაული მინის ნამსხვრევი (მუნებრივი ზომის): а, б—ნახები ჭურჭლების ფრაგმენტები; с—ნაყალიბევი გეომეტრიული ორნამენტით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტი.

Рис. 3.—Бой римского стекла, натуральной величины: а, б—фрагменты шлифованных сосудов; с—фрагмент формованного сосуда с геометрическим узором.

რომელილაც ჭურჭლის ცილინდრული ნაწილის (ალბათ ყელის, 30 მილიმეტრ. დიამ.) ფრაგმენტზე, რომლის სისქე 3 მმ-ს უდრის, ამოხებილია კვადრატული სარკმელი და მთლიანი სარტყელი; დანარჩენ ზედაპირს კი ნახებობა არ ეტყობა. მეორე ფრაგმენტი რომელილაც სფერულ ჭურჭელს, ალბათ მინის სურას ეკუთვნის. მისი სისქე 4—5 მილიმეტრია. მინის გარეთა ზედაპირი მთლად გახეხილია. ჭურჭელი ორნამენტირებული ყოფილა ოვალური, ნახები, შედრევები „ქერცლებით“, რომელიც მციდროდ, ორ თუ სამ მწკრივად არიან ერთ-მანეთთან მიჯრილი (ფრაგმენტზე მხოლოდ ორი მწკრივია შერჩენბლი). ა. სპიცინს აღწერილი აქვს ძლიერ მსგავსი, ოლონდ და ლურჯი მინის წახნაგოვანი სურა იუსტინიანესული კულტურისა, აღმოჩენილი გაგრის მახლობლად, VI—VII საუკუნეების სამართვანში [7]. გვიანი რომაული სქელი მინის სასმისებიც ხშირად არიან ორნამენტირებული ნახები ოვალური „ქერცლებით“, რომელიც ჭურჭლის მთელ ზედაპირს ჰქონავენ [11].

მცხეთაში, სამთავროს სამართვანშიც არის აღმოჩენილი ამგვარი „ქერცლებით“ ორნამენტირებული მინის ჭურჭლები [9].

ერთი უფერული მინის ნაყალიბევი ჭურჭლის ნატეხი, სისქით 1,5 მმ, შემკულია ზოლითა და გეომეტრიული ორნამენტით. ჭურჭელს, ეტყობა, მოყვანილობა ცილინდრული ჰქონია (სურ. 3, с).

ამ თეთრი შინის ფრაგმენტებს გარდა აღმოჩნდა აგრძელვე რამდენიმე მალიან მცირე ნამტვრევი მუქი მწვანე და მუქი ლურჯი მინის ჭურჭლებისა და შავი, მომწვანო და მოოქროსფრო-ყვითელი მინის მრგვალ—თუ ბრტყელ—განივევეთიან სამაჯურთა ფრაგმენტები. ამგვარი სამაჯურები ფრიად გავრცელებულია არა მარტო მთელს ამიერ-კავკასიაში, არამედ გაცილებით უფრო ფართოდაც და მათ ჩვეულებრივ არაბულ ინდუსტრიას მაკუთვნებენ ხოლმე [6].

უცხოურობია, რომ ზემოქამოთვლილი ფრაგმენტების მიხედვით საქმაოდ მრავალფეროვანი ასორტიმენტიდან კარსნის ამ ქარხანაში მხოლოდ თხელი, ფერდაძაფშემოჭერილი ჭიქები მზადდებოდა. ნაკლებ მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები (ჩაყალიბევი, ნახეხი და ფერადი) კი, პირიქით, შეიძლებოდა გადაწყობისათვის განკუთხნილი და სულ სხვადასხვა დროის კულტურული ფენებიდან მოკრეფილი ყოფილიყო. მართლაც ასე იყო, თუ ეს უკეთესი ხარისხისა და უფრო თეთრი ჭურჭელი, რომელიც მინის კეთების უფრო მაღალ ტექნიკას და რამზადების შემდეგ უფრო რთულ დამუშავებას (ხეხვას) მოიხოვდა, აგრძელვე კარსანში კეთდებოდა, ამ საკითხს ქარხნის ტერიტორიის სრული გათხრა გადაწყვეტს მხოლოდ¹.

აღმოჩენილი ფერადი მინების შესალებავად ხმარებულ ნივთიერებათა და-სადგენად კენიგ-მარტენსის სპექტროფორტომეტრით გაზომილ იქნა მუქი მწვანე, ძოწეულ-იისფერი და ლურჯი მინების შთანთქმის სპექტრები. ფრიად დამახა-სიათებელი მრავდების მიხედვით შეიძლება ზუსტად დადგენილ იქნას, რომ მწვა-ნე მინა რკინითა შეღებილი, ძოწეული—მანგანუმით, ხოლო ლურჯი—კობალ-ტით (სურ. 4). საერთოდ, შთანთქმის სპექტრის გაზომვის მეთოდს, რომელიც სა-შუალებას გვაძლევს საგანი დაუქუცმაცემლივ გამოვიყვლით, შეუძლია საინტე-რესო გამოყენება პოვონა არქეოლოგიური ობიექტების შესწავლის საქმეში².

მინის ჭარმოების ტექნოლოგიური გადანაყარში მრავლად იყო აღმოჩე-ნილი მინის სალიბი ქოთხების ნატეხები მომწვანო და უფრო იშვიათად ძოწეული მინის ნაშთებითურთ, მინის ნატეხები, მინის წყირებისა და ძაფის ნა-მტვრევები და დიდაღალი თავისებური წვეთები, რომლებიც მიიღება გამლლვა-რი მინის ზედაპირიდან გაუმლღვარი ნაწილაკების ამოცლისას (სურ. 3, f—h). ჩვეულებრივ თითოეული ამგვარი წვეთის შეგნით მომწყველეულია გაუმლღვა-რი ნაწილაკი, „უიქმატი“. წვეთს აქვს ორი წვეტიანი ბოლო, რომელთა შორის მთელ ზედაპირს ატყვია ქოთნიდან წვეთის ამოსალებად ნახმარი ლი-თონის წყირის აღნაბეჭდი. ამ აღნაბეჭდის მოპირდაპირე მხარეს (ქვემოდან) ყოველ წვეთს აქვს ძუძუსებრი გამონაშერი, წვეთის ნაპირებიდან ჩამონადენი. როგორც ეტყობა, გამლღვარი მასის ზედაპირზე ამოტივტივებულ მარცვლებს,


¹ 1945 წლის ზაფხულში, აკად. ს. ჯანაშიას მიწვევით მონაწილეობა მივიღე მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში და კვლავ ვინახულე კარსანი. მავრამ, სამწუხარო და ფავრწმუნდი, რომ განვლილი 27 წლის განმავლობაში ეროვნისა საცხებით ჩამოურეცხია ფერ-დობის ის ნაშილი, რომელზედაც თავის დროს მფგარა მინისაბერი ქარხნა (ზენიშვნა დარ-თულია წერილის ბეჭდის დროს).

² აპარატურით საჩეკმებობის ნებართვისა და სპექტროფორტომეტრიების სამუშაოში დახმარებისათვის მაღლობას ვუხდი შეოთ. ნ. ვედენევეგას და ს. გრუმ-გრეიმისილოს.

რომელთაც ქიმიური რეაქცია არ შეხებიათ, ან რომელნიც ბოლომდე არ გამლელვარან, ოსტატი ლითონის ბრტყელი და ვიწრო წეირის შეხებით იღებდა და თან ცოტაოდენს გარშემორტყმულ, გამლლვარ მინასაც ამოაყოლებდა ხოლმე. ამოღებული წვეთი სწრაფად ცივდებოდა, მაგრამ მაინც ასწრებდა რამდენადმე ჩამოლვენთილიყო ძუძუსთავისებრ, ვიდრე საბოლოოდ გამოეყოფოდა ლითონს.

წვეთები გვხვდება უფერული, მოყვითალო, მომწვანო, ლიაცისფერი და ძოწეული მინისა.

მინის ყოველი ნატეხი თუ წვეთი ძლიერ დაშლილია ნიადაგის წყლის მოქმედების შედეგად და დაფარულია მურა-ყავისფერი ქერქით, რომელიც ადვილად ექერცლება და სცილდება ჯერ კიდევ საღ მინას. საღი მინიდან აქერცლილი, ძლიერ თხელი შრები ინტერფერენციულ შეფერილობას, ბრწყინვალე ირიზაციას ანიჭებენ მინის ზედაპირს.



სურ. 4.—კარსნული ფერადი მინების შთანთქმის სპექტრთა მრუდები. λ —სინათლის ტალღის სიგრძე; Kd —შთანთქმის კოეფიციენტი, პირობითი ერთეულებით გამოხატული; 1—ძოწისფერი, მანგანუმიანი მინის მრუდი; 2—მწვანე, რკინიანი მინის მრუდი; 3—ლურჯი, კობალტიანი მინის მრუდი.

Рис. 4.—Кривые спектров поглощения цветных стекол из Карсани; λ —длина волны света; Kd —коэффициент поглощения в условных единицах; 1—кривая пурпурного марганцевого стекла, 2—зеленого железного и 3—синего кобальтового.

განსაკუთრებით საინტერესოა საკითხი, თუ რა წყაროდან იღებდნენ საწარმოო მასალას და, კერძოდ, სალებავებს. მანგანუმით შედებილი, ძოწეული მინის მნიშვნელოვანი ოდენობა გვაიძულებს ვითიქროთ, რომ კარსნელ სტატებს ეს ლითონი ქართული საბადოებიდანვე, ალბათ ჭიათურიდან მოჰქონდათ. ლურჯი მინის სიმცირე კი, პირიქით, გვაყენებინებს საკითხს: ადგილობრივ ალლობრდნენ კობალტოვან მინას თუ საიდანმე მოჰქონდათ იგი ნამსხვრევი მინის ან სმალტის სახით?

გვიან შუა საუკუნეებში ევროპის მინის წარმოება ფართოდ იყენებდა ძველ-რომაული მინის ნამსხვრევს, რომელსაც აგროვებდნენ და ჰყინდნენ „Vitrum Romanum“—ის სახელწოდებით და რომელიც ხელახლა ლლვებოდა. ძველებურ მო-

ზიკეს ზოგჯერ განზრახ ამტვრევდნენ, რათა მისი ფერადი კუბები ხელახლა გადაედნოთ და ამრიგად მიღებული ფერადი სამკაულით დაემშვენებინათ თეთრი მინა. ამას უფრო გვიან ხანაშიც (მავილითად, XVI საუკუნეში) კი სჩადიოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ეტანებოდნენ ლურჯს, კობალტოვან სპალტას — „vitri saphiri graeci“-ს [10, 12, 13].

არაბული წარმოება (დამასკი, ქაირო) მინის ფერად ორნამენტაციას ჩვეულებრივ მინანქრის წასმით ახდენდა. ლურჯი მინანქარი მზადოებოდა მინერალ ლაპის-ლაზულისა და მინის ფხვნილთა შერევით და სრულიად არ შეიცავდა სპილენძს ან კობალტს.

საინტერესო და უნდა აღინიშნოს, რომ გალურ-რომაული მინის ნივთებისა და ვიტრაჟების ფერთა გამმას დიდხანს შეადგენდა იგივე სამრ ფერი, რომელიც გვხვდება კარსანში: საფირონისფერი ლურჯი (კობალტი), მწვანე და ყვითელი (რკინა) და ძოშეულისფერი (მანგანუმი). როგორც ჩანს, იქაც და იქაც საწარმოო ტრადიციებს თავდაპირველად ერთიდაიგივე წყარო, ე. ი. რომი და ბიზანტია ასაზრდოებდა.

მცხეთისავე მიღამოებში, სამთავროში, მინის წარმოება განვითარებული ყოფილა გაცილებით უფრო აღრე ხანაშიც (ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში). აქ მინის ქარხნის არსებობას ჯერ კიდევ ფ. ბაიერნი ვარაუდოდა [1]. მისი აზრით „საცრემლები“ (ლაქრიმარიები) და მინის სხვა პატარა ჭურჭლები, რომელიც ეგზომ მრავლად არიან მოპოებული სამთავროს ნეკროპოლში, მზადდებოდნენ ადგილობრივ, თითქოს მის მიერ აღმოჩენილ ქარხანაში.

შესაძლებელია, რომ ჩემს მიერ კარსანში მიგნებული, შედარებით უფრო ახალი მინისსაბერი საწარმო, ისევე როგორც უფრო ძველი ხელოსნური ტექნიკა შევი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ქვეყნებისა, უწყვეტლივ იყოს დაკავშირებული ელინისტური კოლონიებისა და ბიზანტიის მინის წარმოებასთან და სამთავროში დადასტურებულ, ძველ, ადგილობრივ ტრადიციებთან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის

ისტორიის ინსტიტუტი

თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 19.7.1945)

АРХЕОЛОГИЯ

Г. Г. ЛЕММЛЕЙН

ОСТАТКИ СТЕКЛОДУВНОГО ПРОИЗВОДСТВА В КАРСАНИ, БЛИЗ МЦХЕТА

Резюме

Описываемые здесь остатки стеклодувного производства были обнаружены мною в верховьях ущелья Карсани близ Мцхета еще в 1918 году.



[4]. Собранные фрагменты стекла переданы мною на хранение в Государственный Эрмитаж в Ленинград. Так как новых наблюдений в этом месте никем после меня не делалось, то я решаюсь опубликовать сохранившиеся у меня старые материалы*.

Как известно по историческим данным, Карсани было одним из предместьев древней столицы Грузии—Мцхета [3, 5]. В 1616 году оно было окончательно опустошено Шах-Аббасом [2].

Место предполагаемого стеклодувного производства было найдено по многочисленным фрагментам стекла в ложе ручья. На склоне горы обнаружился культурный слой, переполненный угольками, обломками кирпича и простой и поливной керамики, костями животных и, в огромном количестве, осколками стеклянных сосудов, шлаками, обломками толстостенных стекловарных горшков, стеклянными каплями, нитями и т. п. остатками, свидетельствующими о том, что на склон этого оврага сваливались отходы и бой небольшого стеклодувного производства.

По керамическим остаткам (рис. 1) культурный слой может быть ориентировочно датирован XV—XVI вв. н. э.

Более всего было найдено фрагментов тонкостенных (0,5 мм) конусообразных стаканов из слегка зеленоватого стекла. По верхнему краю и в нескольких местах по стенкам стаканы концентрически обтянуты хорошо вплавленной ниткой пурпурно-фиолетового или реже голубого стекла (рис. 2, а, д). По многочисленным фрагментам легко было реконструировать форму стакана, характерную для данного производства (рис. 2, е).

Кроме множества фрагментов, описанных однотипных тонкостенных сосудов—стаканов, в культурном слое встречены были также довольно многочисленные фрагменты сосудов весьма разнообразной формы, толщины, разного цвета стекла (безцветные, темнозеленые, темносиние) и разной техники обработки (литые, формованные, шлифованные) (рис. 3).

Нахождение этих фрагментов разнотипных стеклянных сосудов несомненно поздне-римского происхождения в культурном слое средневековья являлось очевидным анахронизмом. Их появление в ансамбле с технологическими остатками стеклодувного производства заставляет предполагать, что и в Грузии, также, как и в Западной Европе этого времени, фрагменты древнего стекла, как ценнейшее сырье, собирались из культурных остатков разного времени и вновь пускались в переплавку.

Из технологических отходов производства во множестве были найдены обломки стекловарных горшков с остатками зеленоватого и реже

* Летом 1945 года, по приглашению акад. С. Н. Джанашиа, я, в составе Мцхетской археологической экспедиции Груз. АН, вновь посетил Карсани и с сожалением убедился, что эрозия за протекшие 27 лет начисто смела весь участок склона, на котором был расположен этот стеклодувный завод (примечание во время печатания).

пурпурного стекла, крупные куски стекла, обломки палочек и нитей и несметное количество своеобразных капель (рис. 2, *f—h*). Внутри каждой капли, как правило, заключена „крупка“. Капля имеет два заостренных конца, между которыми вдоль всей поверхности капли отпечатался след очевидно металлической полоски, которой капля была вынута из горшка. На стороне противоположной следу (снизу) у всех капель имеется сосцевидный отросток, стекающий с краев капли. Очевидно всплывшую на поверхность расплава непрореагировавшую или недоплавленную „крупку“ мастер извлекал, с каплей окружающего стекла, прикосновением узкой металлической полосы. Быстро остывающая капля успевала все же несколько стечь в виде сосцевидного натека, прежде, чем она была окончательно отделена от металла. Капли встречались бесцветного, желтоватого, зеленоватого, светло-голубого и пурпурного стекла, т. е., очевидно, тек оттенков, которые варились на производстве.

Для решения вопроса о красящих веществах стекол были промерены их спектры поглощения и сравнены с известными стандартами современных цветных стекол. Было установлено, что зеленое стекло окрашено железом, пурпурное марганцем, и синее кобальтом (рис. 4). Метод определения природы красителя измерением спектра поглощения, позволяющий не нарушать целости исследуемого предмета, может найти интересное применение при изучении археологических объектов*.

Известный интерес представляли источники красителей стекла данного производства. Значительное количество окрашенного марганцем пурпурного стекла заставляет предполагать знакомство мастеров Карсани с отечественным месторождением марганца в Чиатура. Напротив, редкость и бледный тон синего стекла ставит вопрос о привозных источниках кобальта. Варилось ли кобальтовое стекло на месте или же синее стекло получалось извне в виде боя или смальты?

В стекляном производстве позднего средневековья в Европе широко пользовались боем старого римского стекла, которое собиралось, шло в торговлю под именем „*Vitrum Romanum*“, и вторично поступало в переплавку. Цветные кубики древней византийской мозаики, иногда специально разрушавшейся для этого, шли даже в более позднее время для переплавки и для цветной орнаментовки белого стекла. Особенно это относилось к синей кобальтовой смальте „*vitri saphiri graeci*“ [10, 12, 13].

В заключение надо отметить, что в значительно более раннюю эпоху (в начале н. э.) в окрестностях Мцхеты, в Самтавро существовало развитое стеклодувное производство. Остатки завода были найдены в Самтавро еще Ф. Байерном [1, 8]. Он считал, что лакримарии и другие стеклянные

* За предоставление аппаратуры и помощь в работе по спектрофотометрированию приношу свою благодарность проф. Н. Е. Веденеевой и С. В. Грум-Гржимайло.

сосулики, в таком изобилии находимые в Самтаврском некрополе ^{известного} ^{священника},
стоялись на месте, на этом заводе.

Возможно, что открытое мною в Карсани сравнительно позднее стеклянное производство, непрерывавшимися традициями, также, как и более ранняя ремесленная стеклянная техника восточного причерноморья, были связаны со стеклянным производством эллинистических колоний, Византии и с местными древними традициями стеклодувов в Самтавро.

Академия Наук Грузинской ССР

Институт истории
им. акад. И. Джавахишвили
Тбилиси

ՅՈՒՆԵԱՌՈՒՄՈ ՀՈՒՐԱՅԻՑԱՐԱ—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Ф. Байерн. Исследование древних гробниц близ д. Мцхета. Сборн. сведений о Кавказе, 2, Тифлис, 1872, 327—328.
 2. П. Иоссеилиани. Жизнь великого моурави князя Георгия Саакадзе. Тифлис, 1848.
 3. П. Иоссеилиани. Путевые заметки от Тифлиса до Мцхеты. Тифлис, 1871.
 4. Г. Г. Леммлейн. К археологии Карсани. Доклад на заседании 11 марта 1921 года, Протокол № 108; Изв. Кавк. отд. Моск. археолог. общ-ва. Тифлис, 6, 1921 57.
 5. Л. М. Меликset-Беков. Легенды о Карсани. Изв. библиогр. общ. при Новороссийском юн-те, т. 4, в. 2, 1915, стр. 96; „Тифлисский Листок“, № 146, 1914.
 6. В. Сизов. Восточное побережье Черного моря. Археологические экскурсии: Сухум. Матер. по Археол. Кавказа, 2. Москва, 1889, 29—38, табл. VI, фиг. 14, 15 16.
 7. А. А. Спицын. Могильник VI—VII в. в Черноморской области. Изв. и. археол комиссии, 2: 1907, 188—192, рис. 6.
 8. F. Bayern. Ausgrabungen auf dem Leichenfelde von Samthawro. Mtlgn. d. anthrop Gessellsch. in Wien, 7, 1872.
 9. E. Chantre. Recherches anthropologiques dans le Caucase. T. 11, Paris-Lyon, 1886, atlas tab. XXV, fig. 4, 7.
 10. C. Friedrich. Die altdeutschen Gläsern, Nürnb, 1884.
 11. A. Kisa. Das Glas im Altertume, B. III, Leipzig, 1908, 905—907.
 12. I. Mathesius. Sarepta oder Bergpostill. Sampt der Ioachimsthalischen kurzen chroniken. 15 Predigt—Von Glassmachen, Nürnberg, 1562.
 13. Theophilus. Diversarum artium schedula. A. Leg. Quellenschriften zur Kunstgeschichte, 7. Wien, 1874.

ପାଶୁକିଳିଶ୍ଵରମେଲି ରୂପାଶ୍ରୀଲିଙ୍ଗ ପ୍ରତିଲିପି ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପାଠକାରୀ ଦେଖନ୍ତିରେ ଏହାର ପରିଚୟ ଆଜିର ମହିନେ ପରିବର୍ତ୍ତନ ହେଲାଯାଇଥାଏ ।

ଶ୍ରୀକନ୍ତପାତ୍ରଙ୍କଳୀଙ୍କ ସମେତ ଶ୍ରୀକନ୍ତପାତ୍ରଙ୍କଳୀଙ୍କାରୀ ଆହୁବିଲିଙ୍କ ସମ୍ମାନିତ, ଅ. ଶ୍ରୀରାମତୀଳିଙ୍କ ପ୍ରକଟିକ୍ ନଂ ୨
ଶ୍ରୀକନ୍ତପାତ୍ରଙ୍କଳୀଙ୍କ ଜୀବନକାଳୀନ ଶ୍ରୀକନ୍ତପାତ୍ରଙ୍କଳୀଙ୍କ ଜୀବନରୀ ୪.୧.୧୯୫୦ ଶ୍ରୀକନ୍ତପାତ୍ରଙ୍କଳୀଙ୍କ ଜୀବନରୀଙ୍କ ଜୀବନକାଳୀନ ୬
୧୯ ୧୯୬୪ ପୃଷ୍ଠା ୬୪